

ეპროკრუდი

საეპროკრუდი

New ახალი

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№3 (47), მარტი, 2015



სივინდი

- ქართული კრუბი
- წეროვანი 1
- აჯამეთის თეთრი

უმაღლესი ხარისხის თესლი

იყიდე!



სოია

(არაგენოლიფიცირობული)

- უნივერსალი 1
- კოლხიდა 4
- გემრული 2

- თანამედროვე დანადგარებზე გაწმენდილი
- დაკალიბრებული
- მაღალხარისხიანი პრეპარატივით დამუშავებული

**წარმოებულია
აგროსული
უნივერსიტეტის
საცდელ განივზე**



შვრია

- გალდონ 765

☎ 595 690 986

ნორდოქსი® 75 წდგრ

NORDOX NORDOX®75WG



უზრუნველყოფს საუკეთესო დაცვას პრეპარატის მცირე რაოდენობით და დაბალი საჭიროებო ღირებულებით!

სპილენძის შემცველი ფუნგიციდი/ ბაქტერიციდი

ართოდირექტივი სავალალო გრავიტი, რომელიც შეიცავს 75% მათარ სპილენძს - დღესდღეობით ყველაზე მაღალი ბიო-აქტიური სპილენძის შემცველია.

მოქმედი ნივთიერება	
სპილენძის ოქსიდი (Cu ₂ O)*	83.9%
სხვა შემადგენლები	16.1%

*მატარ სპილენძის ექვივალენტი 75%, 750გრ/1კგ



უპირატესობები



სანიმუშო ხარისხი

- წარმოებულია უმაღლესი ხარისხის სპილენძისაგან
- მეტი ეფექტურობისათვის შეიცავს სპილენძის ყველაზე მცირე ზომის ნაწილაკებს
- სამუშაო ხსნარიდან პრეპარატი არ გამოილექება დიდი ხნის განმავლობაში.



დაავადებების სანიმუშო და ხანგრძლივი აონტროლი

- მაღალეფექტურია კულტურათა ფართო სპექტრზე
- ხანგრძლივი დაცვისა და კონტროლისათვის სპილენძის იონების სწრაფი გააქტიურება.
- კარგი მიმწებებლობა და მდგრადობა წვიმით ჩამორეცხვაზე, ინტერვალი წამლობებს შორის 10-14 დღე



ეკონომიურობა

- განაპირობებს ბიო-აქტიური სპილენძის დიდ რაოდენობას პრეპარატის მცირე რაოდენობით და დაბალი ფასით



მომსახურე ფარმაცეუტიკული მეთოდი უსაფრთხოება

- პირადი დაცვის საშუალებების ნაკლები რაოდენობა
- კლასიფიცირდება როგორც ძალიან დაბალტოქსიკური ან ხშირად არამომწამებელი
- დამუშავებულ ფართობებზე ხელით და მექანიზებული სამუშაოების დასაწყებად ლოდინის პერიოდი – მხოლოდ 12 საათი



გარემოსათვის უსაფრთხო

- ადვილად ხსნადი, არა აქვს მტვერი
- პრეპარატის ნაკლები რაოდენობა პექტარზე



წარმომადგენლობა და დისტრიბუტორი საქართველოში:
 შპს "აგროტექნოლოგიები"
 მის.: ქ.თბილისი, ვ.ბოჭორიშვილის ქ.1-37
 ტელ.: +995 577 259 919; +995 32 236 52 46;
 ელ.ფოსტა: info@agrotech.com.ge; www.agrotech.com.ge

წარმომადგენელი და რეგისტრანტი:
 NORDOX AS
 Ostensjoveien 13, N-0661, Oslo, Norway
 Tel.: +47 22 97 50 18
 www.nordox.no

წარმომადგენელი ბიოწარმომადგენლისათვის




აშშ-ში



ევროკავშირში
(EC) No. 834/2007
(EC) No. 889/2008



საქართველოში
მთავრობის დადგენილება
№198, 2013.07.30



ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

მარტი, 2015 წელი.

№3 (47)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი), ნუგზარ ებანიძე, რეზო ჯაბიძე, მიხეილ სოხაძე, თამარ სანიციძე, ნოდარ ბრეგვაძე, ბექა გინაშვილი, გიორგი ბარისაშვილი (მევენახეობა-მელღებობის რედაქციის რედაქტორი), თამთა გუგუშვილი (თხვ. კერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რეკვან მახარობლიძე (თაქჯელომარე), გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტყარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანიძე, პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კახინაშვილი, ადლ ტყემელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძეგია, კახა ლაშხი, ომარ თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე, ნუკერი მემარნიშვილი.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა); Association of Agrarian Sector Companies (ASCA). საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;

Regionica – Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53 ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00 599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.regionica.org/journal.html

E-mail.: agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიელი“

(ციფრული ბიბლიოთეკა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო

დააკაბდონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ზელომდვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. The journal acts in accordance with the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია. All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“



www.worldtechnic.ge

ნომერი წაიკითხათ:



6

მხოლოდ საქართველოს გადასახვევითა მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა

ქართველი ერისათვის მინა-წყლის ნართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია“



15

საჩუქარი - უაროსანთო კრედიტები ქართულ მევენახეობას კომპანია „SINGENTA“-საგან

ამ პროექტის შესაბამისად ფერმერებს შეუძლიათ სამიდან რვა თვის ვადით, საბანკო გარანტიის გარეშე, უპროცენტო კრედიტი მიიღონ.



28

ლონდონის ბაზარი და ... ქართული კვირსხი

ქართველი მენარმეებიც დიდი სიამოვნებით შეამცირებდნენ ფასს, სახელმწიფოსაგან სათანადო ხელშეწყობა რომ იყოს.

4 მივიღოთ მიწათსარგებლოების ახალი რეალისტური კანონი

12 ნიადაგის გასარწყავების პრობლემაში საქართველო

13 ორბანული მეურნეობის მნიშვნელობა და ბრადისიული მეურნეობის/წარმოების უარყოფითი მხარეები 13

17 თბილისისა და მისი შემოგარენის მშენებელი საფარის დომინანტი მავნე ორბანოზები და მათი წინააღმდეგ ბრძოლა

19 ოგლად დარჩენილი აკალ-ბარდებით დაფარული მშენებელი ოქრო ველები ითხოვს

21 საქართველოს სოფლის მეურნეობის მდინარეებთან აკადემიის 2014 წლის სამიანიონის ანგარიში

22 ისრაელის სოფლის მეურნეობა – თვალსაჩინო მავალითი საქართველოსათვის

26 ბერძენულმა მდინარეებმა კოლორადოს სოჭოს საწინააღმდეგო ახალი საშუალება შექმნეს

26 სხვის ბრადისი

27 კაღები, კატები და მათი „საჩუქრები“

30 საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აპრონოსები

34 მამალი ფუტკრის რძე

გამომწვევით შერჩეული „ახალი აგრარული საქართველო“! კრემის გემრტაგების საუბრელოებში:

„ელვაჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საძერესა“ (0 (32) 2518518).

1 წლით ჟურნალის გამომწვევა ღირს 24 ლარი, 6 თვით – 12 ლარი.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებადია 2009 წლიდან.

საქართველოს პარლამენტი

მივიღოთ მიწათსარგებლოების ახალი რეალისტური კანონი

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, საკვები რესურსების შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავედება. ის პირველ რიგში ეხება მინას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ის უკანასკნელი, ანტირობმანური ზომითაა დაზარალებული, სულ უფრო მცირდება, და ის ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე.

მინა არის შეუცვლელი, გაუმრავლელელი და „ამონურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამ ტიპის მიწის მოქალაქეობის არმქონე პირებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება შეზღუდულია, ან დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უმეტეს ქვეყნებში შეზღუდვები არსებობს იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზეც. აქ გვხვდება გარკვეული რეგულირება, წინაპირობები, რომელიც ართულებს ან გარკვეულ მოთხოვნებს ანებსებს.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემთავრებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვები.

საქართველოს საზოგადოებას ვთავაზობთ ზოგიერთ მოსაზრებას 2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეტანილ კანონპროექტზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

● კანონის პროექტის განმარტებით ნაწილში არ ჩანს გარკვეულობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის საჭირო, რომ მცირემიწიანი საქართველო თავის მინას უცხოელებზე ყიდდეს. ნათელია, რომ ამისთვის კანონმდებლის ცნობიერებაში ან ქვეცნობიერებაში ერთადერთი მოტივი არსებობს: „ამას მოითხოვს დემოკრატიული ზრდილობა“. უკიდურესად არადემოკრატიული კანონმდებელი ამით იმშვედრებს „სინდისს“ და ამავე დროს მომგებიანი იმიჯს იქმნის მსოფლიოში, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ უცხოელებზე მიწის განუკითხავი გასხვისება სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით მიუღებელია (ამას მეტყველებს მაღალდემოკრატიული დასავლეთის მთელი საკანონმდებლო პრაქტიკა).

● კანონში შესატანი ცვლილებების პროექტიდან არ ჩანს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შექენასთან დაკავშირებული ეკონომიკური ანალიზი, ანუ



რა რაოდენობის მინაა შესყიდული, რა ინვესტიციებია განხორციელებული, დამუშავებულია თუ არა მინა და ა.შ. ასევე, როგორია თანაფარდობა საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებსა და უცხოელების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებს შორის.

● საინტერესოა, რომელი ქვეყნის მოქალაქეები ფლობენ მინას საკუთრებაში და როგორია მათ მიერ გაკეთებული ინვესტიციების ოდენობა, ამით გავიგებთ, რომელი ქვეყნიდანაა მინით სპეკულაციის მაღალი რისკი;

● ზოგადად მინით სპეკულაციის საშიშროება უფრო მეტად არსებობს იურიდიული პირების მხრიდან და შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი შეზღუდვები უცხოელებისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვაზე ძირითადად მიმართულია იურიდიული პირების მიმართ, რაც ასევე არ ჩანს კანონში ცვლილებების პროექტში;

● მნიშვნელოვანია კანონში ცვლილებების პროექტი აყალიბდეს/არეგულირებდეს მსხვილმასშტაბიანი მიწის მფლობელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობებს. მისასაღმებელი იქნება, თუ მსხვილმასშტაბიანი მიწის მესაკუთრეს, გარდა ზოგადი ვალდებულებებისა სახელმწიფოს მიმართ (მიწის გადასახადი და სხვ.) ექნება ვალდებულებები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ (ინფრასტრუქტურის, განათლების, სოციალური და სხვა ღონისძიებების დაფინანსება). ეს საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, მიიღოს არაპირდაპირი სარგებელი და ასევე ეს ხელს შეუწყობს მათ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს, რაც ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

● კანონმდებლობა ნათლად უნდა აყალიბდეს თამაშის წესებს, რომლებიც გამოორიცხავს/შეზღუდავს არასწორი ინტერპრეტაციებისა და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას. თანამდებობის პირების მიერ (თუნდაც ჯგუფურად) არ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკის სამინისტროსთან თეორიულად შესაძლებელია შეიქმნას საბჭო, როგორც პოლიტიკის ნაწილი, თუმცა მისი მანდატი უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული,

რათა არ დარჩეს სივრცე მიკერძოებული გადაწყვეტილებებისთვის.

● დასადგენია, რა მიზანს ემსახურება მინიმალური ზღვარის დანესება (5 ჰა ფიზიკური პირისთვის და 20 ჰა იურიდიული პირისთვის). თუ მიზანია ის, რომ ნაკვეთების დანანევრება არ მოხდეს, მაშინ მითითებული უნდა იყოს, რომ ნაკვეთის გაყოფა და ნაწილის შექმნა არ შეიძლება და ეს უნდა ეხებოდეს ასევე საქართველოს მოქალაქესაც. ამასთან, გაუგებარია როგორ მოხდება პირის მიერ ორი მომიჯნავე, მაგალითად სამჭექტრიანი მიწის ნაკვეთის შექმნა, ანუ ეს ნაკვეთები ჯერ უნდა გაერთიანდეს და შემდგომ იქნება მისი ყიდვა შესაძლებელი.

● ასევე საკითხავია, რამდენად ეფექტური იქნება მიწით სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად ზედა ზღვარის დანესება, რადგან კერძო ან იურიდიული პირის მიერ შესაძლებელია დაფუძნდეს რამდენიმე იურიდიული პირი და ისე იქნეს შექმნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა;

● საკითხავია, თუ რამ განაპირობა შეზღუდვების გაუვრცელებლობა კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე.

● გაუგებარია, რატომაა საჭირო უცხოელისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმება მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს ნოტარიუსის გარეშე დადოს გარიგება და ასევე უცხოელს არასასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნისას არ მოეთხოვება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება ნოტარიუსთან.

● ასევე გაუგებარია მუხლი 1-12, რომელიც ეხება შეღავათს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დროს, თუნდაც ეს ეხებოდეს პირდაპირი მიყიდვის შემთხვევას.

სწორი ხედვის, სტრატეგიისა და შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივისთვის აუცილებელია კვალიფიციური ანალიზის გაკეთება. ამასთან შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს მიწის ეფექტურ გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეთაზე შეზღუდვებით, არამედ მიწათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით, რისთვისაც შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მიწათსარგებლობის მონაცემთა განახლებადი ბაზის შექმნას, ასევე მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ პროექტში მოცემული შეზღუდვები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი შესაძლებელია რეალურად მოქმედებდეს მხოლოდ კეთილსინდისიერი ინვესტორისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის მიერ შემუშავდება მიწის არგამოყენებისთვის სანქციები, მნიშვნელოვანია, რომ ეს არცერთ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს მიწის რეფორმის ფარგლებში პრივატიზებულ მიწებს.

სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მუდამდებდა საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.

არ არის საკმარისი, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს თანამედროვეობასთან მორგებულად ჩამოყალიბებული გრძელი რიგი ცვლილებებისა.

აუცილებელია, რომ კანონში უკვე არსებული სწორი განსაზღვრებები და ახალი, რომლებსაც დრო მოითხოვს, აწყობილ იქნეს ახალ სისტემად, რომელიც აგებული იქნება ამოცანათა დღევანდელ რუკაში არსებულ პროპორციათა გათვალისწინებით, მათი სიმწვავისა და მნიშვნელობის მიხედვით. ამ ამოცანის გადაჭრას სჭირდება, პრაქტიკულად, მიწათსარგებლობის ახალი კანონის (კოდექსი) მიღება (და არა ძველის ჩასწორება). ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ ახალ განსაზღვრებათა შორის არის ის, რომ აუცილებელია დანესდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნის მსურველ უცხოელთა მიმართ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული რეგულაციები (პროექტი მომზადებულია).

ამასთან, მისაღებია ნორმატიული აქტი „სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის შესახებ“, რომელიც უნდა აისახოს კანონში და გავრცელდეს, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე (პროექტი მომზადებულია).

აგრეთვე ნორმატიულად უნდა განისაზღვროს „სოფლის სტატუსი“ და დამკვიდრდეს სოფელში თვითმმართველობა, რადგან დღეს ქართული სოფელი მხოლოდ გეოგრაფიული დასახელების ფუნქციის და არა ტერიტორიული და სოციალური ერთეულის მატარებელია (პროექტი მომზადებულია).

მიწის რაციონალური გამოყენების მიზნით აუცილებელია მიწათსარგებლობის მონიტორინგის დანესება, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს მიწის საინფორმაციო სისტემის შემადგენლობაში. მიწის საინფორმაციო სისტემა ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ ორი გზა არსებობს: პირველი – მიწის კერძო საკუთრება, და მეორე – მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისთვის, უცხოელების მიმართ, ძირითადად ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გამოყენებული. ეს ფორმა იგნორირებულ იქნა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმებით. ამისთვის კი საჭიროა, სასოფლო მიწის იჯარის შესახებ ახალი კანონის მიღება და მასში ნათელი და გამჭვირვალე ნორმების შეტანა.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება.

მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა. ხელისუფლება



კანონმდებლობას უნდა არეგულირებდეს იმდაგვარად, რომ დაცული იქნეს როგორც საქართველოს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ასევე, სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები და მათი ბალანსი.

ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება მივიღოთ მინათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონი (კოდექსი), რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებას, და მხოლოდ ამის შემდეგ ავამოქმედოთ იგი.

საქართველოს გააჩნია იმის ინტელექტუალური პოტენციალიც, რომ პოლიტიკური ნების პირობებში, უმოკლეს ვადაში შექმნას მინათსარგებლობის სრულფასოვანი კანონი (კოდექსი).

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს შანსი

მიაღწიოს წარმატებას აგრარულ და მთლიანად ქვეყნის განვითარების საქმეში, თუ გაუჭიანურებლად იტყვის უარს წარმოდგენილ კანონპროექტზე, მიიღებს დროებით ნორმებს იმ უცხოელებთან დაკავშირებით, რომელთაც უკვე მოახდინეს სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით აქტივობები, მთავრობა აიღებს ვალდებულებას 3-4 თვეში მიწის სრულფასოვანი კოდექსის პროექტის შესაქმნელად და გააპიროვნებს ვალდებულებას, პროექტის შემუშავების პროცესში ჩართოს მეცნიერები, სპეციალისტები, შემდგომ მოაწყოს პროექტის საჯარო განხილვები საზოგადოებაში, სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში და ამის შემდეგ მიღებული კოდექსის საფუძველზე, რომელიც იქნება მის ირგვლივ საზოგადოების მაღალი კონსოლიდაციის საშუალებაც, მისი დანერგვით მიაღწიოს კონკრეტულ წარმატებებს. სხვა გზა ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად მოლიპულია, ქვეყნისათვის კი – მავნე.

საზოგადოების „საქართველოს მიწის გუშავი“ სახელით, პროფესორები: თ. ჩხეიძე, ბ. მარბეილაშვილი, ა. ჟირცხალაშვილი, დ. ჯულუხაძე, ნ. ძარძაძაძე, ო. ძეშელაშვილი, ლ. ფრუიძე, ბ. მარნაძე, ო. შორდანი, ჯ. კაციტაძე, ვ. ბურული, რ. ბოშოზია, ი. ბაჩიაშვილი, ბ. მახცაბრია, ბ. გოჩუა, დ. ბახტაძე, ვ. ცნოზილაძე, ბ. რამიშვილი, ა. აპრაღაძე, ნ. ჩხეიძე, ბ. შალვაშვილი, ბ. გომიშვილი, ზ. მიქელაძე, ძ. ფრიდონაშვილი, ბ. თვალჭრელიძე, პ. გიორგაძე, ლ. ჩაჩუა, ბ. გიორგაძე, ა. მუსხიშვილი, ბ. ზიზიზიაძე, ნ. ნათაძე, ბ. ჯიბუტი, ზ. ჯინჯოლაძე, პ. კოლაშვილი



მხოლოდ საქართველოს გადასახვევებია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა

ამ სტატიის დაწერა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეტანილ იქნა კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ([HTTP://WWW.PARLIAMENT.GE/GE/LAW/7964/16269](http://www.parliament.ge/ge/law/7964/16269)). აღნიშნული კანონპროექტი აბრკილავს მიწის საბარათლის შემგნის „ქართულ ტრადიციას“, როდესაც ყოველი მომდევნო საკანონმდებლო აქტი კი არ აუზიარებს, არამედ აუბრკილავს წინს. აღნიშნული კანონპროექტი არ პასუხობს საქართველოში მიწისთან დაკავშირებული გამოწვევების გადაწყვეტის არც ერთ მოთხოვნას და მისი ამ სახით მიღება კიდევ უფრო გააძვირებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს.

კანონპროექტის ავტორები განმარტებით ბარათში ვერაპირ ასახულებენ მათ მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ნორმების შედეგიანობას, მათ შესაბამისობას მიწის სამართლისა და ეკონომიკის თეორიებთან, ცივილიზებული მსოფლიოსა და უპირველეს ყოვლისა ევროკავ-

შირის ქვეყნებში მსგავს საკითხებზე არსებულ კანონმდებლობასთან.

ავტორების მიერ არაა მოცემული იმ რეალური გარემოსა და მიზეზების დახასიათება, რომელმაც გამოიწვია ამ ნორმების შემოღების წინადადებების წარმოდგენა:

– კანონის პროექტის განმარტებით ნაწილში არ ჩანს გარკვეულობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის საჭირო, რომ მცირემინიანი საქართველო თავის მიწას უცხოელებზე ყიდდეს. ნათელია, რომ ამისთვის კანონმდებლის ცნობიერებაში ან ქვეცნობიერებაში ერთადერთი მოტივი არსებობს: „ამას მოითხოვს დემოკრატიული ზრდილობა“. უკიდურესად არადემოკრატი კანონმდებელი ამით იმშვიდებს „სინდისს“ და ამავე დროს მომგებიან იმიჯს იქმნის მსოფლიოში, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ უცხოელებზე მიწის განუკითხავი გასხვისება სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით მიუღებელია (ამას მეტყველებს მაღალდე-მოკრატიული დასავლეთის მთელი საკანონმდებლო პრაქტიკა);

– განმარტებითი ბარათიდან არ ჩანს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენასთან დაკავშირებული ეკონომიკური ანალიზი, ანუ რა როლდენობის მინაა შესყიდული, რა ინვესტიციებია განხორციელებული, დამუშავებულია თუ არა მიწა და ა.შ.;

– როგორია თანაფარდობა საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებსა და უცხოელების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებს შორის და სხვ. საინტერესოა, რომელი ქვეყნის მოქალაქეები ფლობენ მიწას საკუთრებაში, რა წილი მოდის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე და როგორია მათ მიერ გაკეთებული ინვესტიციების ოდენობა, რომ ვიცოდეთ რომელი ქვეყნებიდანაა მიწით სპეკულაციის მაღალი რისკი;

– დადგენილია, რომ მიწის სპეკულაციის საშიშროება უფრო მეტად არსებობს იურიდიული პირების მხრიდან და შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი შეზღუდვები უცხოელებისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვაზე ძირითადად მიმართულია იურიდიული პირების მიმართ. ავტორები არ ხსნიან ასეთ პირობებში რამ განაპირობა მათი პოზიცია, რომ საქართველოსი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროფილის იურიდიულ პირებს შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა, არამედ ნებისმიერ იურიდიულ პირს და მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებს – განუსაზღვრელი ოდენობით;

– კანონის ავტორები კვლავ ღიად ტოვებენ პრობლემას მიწის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ნათლად ჩამოყალიბებული თამაშის წესების შესახებ, რომელიც გამოირიცხავს შეზღუდვას არასწორი ინტერპრეტაციებისა და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას თანამდებობის პირების მიერ (თუნდაც ჯგუფურად). ამისათვის, სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკის სამინისტროსთან თეორიულად შესაძლებელია შეიქმნას საბჭო, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი ნაწილი, თუმცა მისი მანდატი უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული, რათა არ დარჩეს სივრცე მიკერძოებული გადაწყვეტილებებისთვის.

გაუგებარია თუ რა მიზანს ისახავს კანონპროექტის ბევრი ნორმა, ბუნდოვანია მათი რეალიზების მექანიზმი და ბევრ კითხვას იწვევს. კერძოდ:

– დასადგენია რა მიზანს ემსახურება მინიმალური ზღვარის დაწესება (5 ჰა ფიზიკური პირისთვის და 20 ჰა იურიდიული პირისთვის). თუ მიზანია ის, რომ ნაკვეთების დანაწევრება არ მოხდეს მაშინ მითითებული უნდა იყოს, რომ ნაკვეთის გაყოფა და ნაწილის შე-



ძენა არ შეიძლება და ეს უნდა ეხებოდეს ასევე საქართველოს მოქალაქესაც. ამასთან გაუგებარია როგორ მოხდება პირის მიერ ორი მომიჯნავე, მაგალითად სამ ჰექტარიანი მიწის ნაკვეთის შეძენა, ანუ ეს ნაკვეთები ჯერ უნდა გაერთიანდეს და შემდგომ იქნება მისი ყიდვა შესაძლებელი?

– ბუნდოვანია, რამდენად ეფექტურია მიწის სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად ზედა ზღვარის დაწესება მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით კერძო ან იურიდიული პირის მიერ შესაძლებელია დაფუძნდეს რამდენიმე იურიდიული პირი და ისე იქნეს შეძენილი სასოფლო სამეურნეო მიწა;

– საკითხავია თუ რამ განაპირობა შეზღუდვების არ გავრცელება, კომერციულ ბანკებზე, მიკრო საფინანსო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე და ვინ არის ის კონკრეტული პირი ვინც ეს ნორმა ჩანერა კანონის პროექტში;

– გაუგებარია რატომაა საჭირო უცხოელისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, მაშინ როცა საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს ნოტარიუსის გარეშე დადოს გარიგება და ასევე უცხოელს არასასოფლო სამეურნეო მიწის შეძენისას არ მოეთხოვება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება ნოტარიუსთან და სხვ.

* * *

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო “ღვთის მიერ კურთხეული ადგილია”, ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გე-

ოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებათა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. თანასწორია.

მოქალაქეთა თანასწორობა მდგომარეობს:

თანასწორობაში კანონის წინაშე. უფლებაში, რომ იგი და მისი შთამომავალი, ან და მარადის, საქართველოს მიწა-წყალს და ბუნებრივ რესურსებს განიხილავდნენ როგორც თავისი სარჩენ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამო-



მავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.¹

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ

– საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისაგან, არამედ სასურსათოსაგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან), კონკრეტულად – მუდმივად და უცვლელად ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექცება, არის მხოლოდ მიწა.

– საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და

– უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართვე-

ლოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუნდგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობითა და მცირემინიანობით. ხელისუფლების მხრიდან არის მცდელობა იმისა, რომ ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ (სოფლის მეურნეობაა არაა ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის ნახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს) – თანაც გვმოძღვრავენ და გვამშვიდებენ, „მინას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს, რადგან ამ ქვეყნების

დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთშეუსატყვისობა ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგადკულტურული ფონისა და აქსიოლოგიური ფონის მხრივ, მით უმეტეს – ენის მხრივ. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

* * *

კანონპროექტის ამ სახით მიღება არ შეიძლება იმიტომაც, რომ მასში არ არის გათვალისწინებული არც მსოფლიოში საკვებთან დაკავშირებული მდგომარეობა და არც სხვა ქვეყნების გამოცდილება.

თანამედროვე მსოფლიოში საკვების პრობლემა სულ უფრო მწვავედება. ეს პირველ რიგში დაკავშირებულია მიწის და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეზღუდულობისა (რომელიც ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება), და დედამიწაზე მოსახლეობის სწრაფი ზრდასთან. ამას ემატება საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. ნიშანდობლივია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა.

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავისი რჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამონურავადი“ (შეზღუდული) რესურსი. გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში (VerfGE 21, 37 [82] და BVerfGE 21, 73) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მიწოდება და დათმობა თავისუფალი ძალის განუზაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას,

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გადატარა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/135/512“, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებლმყოფელ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა ან და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს დიდი ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარება უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექარტევიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში... „ის გარემოება, რომ მინა შეუცვლელია და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დათმობილი იქნეს თავისუფალი ძალეების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მინა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება“.

ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში მინაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. თუ როგორია ეს რეგულაციები, ამის შესახებ საცნობარო მასალა, მრავალგზის გამოქვეყნდა. იგი ცნობილია ხელისუფლებისთვისაც, მაგრამ არ ხდება მისი გაზიარება. ამის საშუალება ხელისუფლებას აქვს იმიტომ, რომ მინასთან დაკავშირებული კანონმდებლობა დღემდე არ არის მოქცეული ერთიანად საქართველოს მინის კოდექსში. აქედან გამომდინარე აიღება რაღაც ერთი საკითხი (მოცემულ შემთხვევაში უცხოელებზე მინის მიყიდვის საკითხი), რომელიც წარმოადგენს რომელიღაც პარტიის ან ჯგუფის ინტერესს და ხდება იმ საკითხთან დაკავშირებული ფრაგმენტული საკანონმდებლო აქტის მიღება.

მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულეები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც სწორედ ამიტომ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინას და გამორჩეული სიფრთხილით მის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხებს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა.

ვისაც არ უნდა ეხებოდეს საკითხი – საქართველოს მოქალაქეს თუ უცხოელს, სასოფლო-სამეურნეო მინის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან მინა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ №88/1994).

რაც შეეხება უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეს, აქ მიდგომა ყველა ქვეყანაში ერთია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მინის გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებლადაა მიჩნეული.

სასოფლო-სამეურნეო მინა ნებისმიერ სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და ამ ტიპის მინის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისება ძირითადად შეზღუდულია ან დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით.

იურიდიულ პირებთან დაკავშირებით ყველა ქვეყანაში არსებობს მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო მინის შესყიდ-



ვაზე შეზღუდვები: ზოგან ესაა აქ გარკვეული რეგულაციები, წინაპირობები, სახელმწიფო ორგანოების მიერ სპეციალური, დამატებითი ნებართვები და ა.შ. ხოლო ზოგ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მინის შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვები.

საქართველო ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყანაა. მიმდინარეობს აგრარული რეფორმა, რომლის მიზანი არ უნდა იქნეს დაყვანილი მინის გაყიდვაზე. სასურსათო უსაფრთხოება, ქართული სოფელი, ეფექტიანი სოფლის მეურნეობა, იმპორტჩამნაცვლებელი წარმოება და სხვა არის ამ რეფორმის სამიზნეები. სწორი ხედვის, სტრატეგიისა და შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივისთვის აუცილებელია კვალიფიციური ანალიზის გაკეთება. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს მინის ეფექტიან გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეობაზე შეზღუდვებით, არამედ მინათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით,

რისთვისაც შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მინათსარგებლობის მონაცემთა განახლებადი ბაზის შექმნას, ასევე მინათსარგებლობის მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებას. სისტემის მოწესრიგებამდე პოლიტიკა უნდა იყენებდეს ნახალისების მეთოდებს. ამის საწინააღმდეგოდ თუ ხელისუფლებამ მაინც გადაწყვიტა მინის არგამოყენებისთვის სანქციების შემოღება, ის არცერთ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს მინის რეფორმის ფარგლებში პრივატიზებულ მინებს.

სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მყლავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი

ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.

წარმოდგენილი კანონპროექტი რომ არ იყოს მიუღებელი შინაარსობრივად და გეთავაზობდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს თანამედროვეობასთან მორგებულად ჩამოყალიბებული გრძელი რიგი ცვლილებებისა, ესეც არ იქნება საკმარისი. სწორი გადაწყვეტილება კონსტიტუციურია: აუცილებელია, რომ კანონში უკვე არსებული სწორ განსაზღვრებებთან ერთად დღევანდელ მინის რეფორმის „საგზაო რუკაში“ არსებულ პროპორციათა გათვალისწინებით, მა-

თი სიმწვავისა და მნიშვნელობის მიხედვით შედგენილი ნორმებით აიწყო ახალი სისტემა, მოხდეს მინათსარგებლობის ახალი კანონის (მინის კოდექსის) მიღება (და არა ძველის ჩასწორება).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ ახალ განსაზღვრებათა შორის არის ის, რომ აუცილებელია დაწესდეს (ძირითა-

საკითხი წყდება მთავრობის შესაბამისი სტრუქტურის გადაწყვეტილებით (საქართველოში ადგილებზე ბიოგეოკლიმატური პირობებიდან გამომდინარე). ამასთან, ამ კატეგორიის პირთა საკუთრებაში ჯამურად შეიძლება იყოს დამუშავებაში მყოფი (სახნავ-სათესი და მრავალწლიანი კულტურებით დაკა-

ლის მსურველთა ყოველ კონკრეტულ განცხადებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მინის კოდექსში უნდა ჩამოყალიბდეს ნორმები „სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის შესახებ“, რომელიც უნდა გავრცელდეს როგორც ქართველ, ისე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

აგრეთვე ნორმატიულად უნდა განისაზღვროს „სოფლის სტატუსი“ და დამკვიდრდეს სოფელში თვითმმართველობა, რადგან დღეს ქართული სოფელი მხოლოდ გეოგრაფიული დასახელების ფუნქციის და არა ტერიტორიული და სოციალური ერთეულის მატარებელია.

მინის რაციონალური გამოყენების მიზნით აუცილებელია მინათსარგებლობაზე მონიტორინგის დაწესება, რომელიც თავის მხრივ უნდა ფუნქციონირებდეს მინის საინფორმაციო სისტემის შემადგენლობაში. დღეისათვის ქვეყანას მინის საინფორმაციო სისტემა არ გააჩნია და ის ჩამოსაყალიბებელია. ასეთ სრულ გაუფებრობაში მინის უცხოელებზე გაყიდვა დაუშვებელია.

არსებობს გამოსავალი?

სასოფლო-სამეურნეო მინის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ ორი გზა არსებობს: პირველი – მინის კერძო საკუთრება და მეორე – მინის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.

მოუწესრიგებელი და ტრანსფორმირების პროცესში მყოფი საქართველოსათვის უცხოელების მიმართ ძირითადად ეს უკანასკნელი ფორმა უნდა იქნას გამოყენებული. ეს ფორმა იგნორირებულ იქნა საქართველოში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმებით. აუცილებელია მინის საიჯარო ურთერთობების რეგულაციები სრულად იყოს მოცემული მინის კოდექსში.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მინის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მინის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება.

საქართველოს გააჩნია იმის ინტელექტუალური პოტენციალიც, რომ პოლიტიკური ნების პირობებში, უმოკლეს ვადაში შექმნას სრულფასოვანი მინის სამართლის კოდიფიცირებული საქართველოს კანონი – მინის კოდექსი.

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს შანსი მიაღწიოს წარმატებას აგრარულ და მთლიანად ქვეყნის განვითარების საქმეში, თუ გაუჭიანუ-



დი პრინციპების სახით მინც) სასოფლო-სამეურნეო მინის შექმნის მსურველ უცხოელთა მიმართ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული შემდეგი შეზღუდვები:

ა) უცხოელის მიერ (რომელმაც უნდა მოიპოვოს ფერმერის სტატუსი) საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მინის შექმნა დაშვებულია მინიმუმ ხუთი (5) ჰექტრის ოდენობით, ხოლო მეტის შემთხვევაში მთავრობის შესაბამისი სტრუქტურის გადაწყვეტილებით (საქართველოში ადგილებზე ბიოგეოკლიმატური პირობებიდან გამომდინარე). ამასთან, ამ კატეგორიის პირთა საკუთრებაში ჯამურად შეიძლება იყოს დამუშავებაში მყოფი (სახნავ-სათესი და მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული) სასოფლო-სამეურნეო მინის მხოლოდ 5%;

ბ) სასოფლო-სამეურნეო მინა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები-სამებრ, ისე რომ მისი ფუნქციობა შეესაბამებოდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებს;

გ) საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მინის შექმნა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც არის სასოფლო-სამეურნეო სანარმო დაარსებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, ან, რომელშიც საქართველოს მოქალაქე ნილობრივად ფლობს 50%-ზე მეტს და რომელსაც გააჩნია ფერმერის სტატუსი. მას შეუძლია შეიძინოს მინიმუმ ხუთი (5) ჰექტარი, ხოლო მეტი ოდენობის მინის შესაძენად

ვებული) სასოფლო-სამეურნეო მინის მხოლოდ 5%;

დ) უცხოელი, რომელსაც სურს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მინის შექმნა, უნდა:

– კანონიერად და უწყვეტად ცხოვრობდეს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში და ამავე დროის მანძილზე ეწეოდეს სოფლის მეურნეობას;

– წარმოადგინოს მინაზე სამოქმედო საინვესტიციო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ინტერესებთან;

– ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება ან ჰქონდეს სოფლად ცხოვრების და აგრარული შრომის ხუთწლიანი გამოცდილება;

– ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო მინის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო კაპიტალს;

ე) სასოფლო-სამეურნეო მინის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია მხოლოდ საქართველოს მოქალაქე სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირებს შორის;

ვ) კანონში ასევე უნდა იყოს განსაზღვრული თუ ვის ექნება უპირატესი უფლება (პრიორიტეტი) მინის შექმნაზე;

ზ) სახელმწიფო საზღვრის 5-20 კმ (საზღვრის სპეციფიკიდან გამომდინარე) ზოლში სასოფლო-სამეურნეო მინის გასხვისება დაუშვებელია;

თ) საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას მინის დაცვის ტრიბუნალი (მინათსარგებლობის კომისია), რომელიც განიხილავს საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მინის შესყიდვის, იჯარით აღებისა და მინის კატეგორიის შეცვ-

რებლად იტყვის უარს წარმოდგენილ კანონპროექტზე და მიიღებს დროებით ნორმებს იმ უცხოელებთან დაკავშირებით, რომელთაც უკვე მოახდინეს სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით აქტივობები. მთავრობა აიღებს ვალდებულებას 3-4 თვეში მიწის სრულფასოვანი კოდექსის პროექტის შესაქმნელად და გააპრობინებს ვალდებულებას პროექტის შემუშავების პროცესში ჩართოს მეცნიერები, სპეციალისტები, შემდგომ მოაწყოს პროექტის საჯარო

განხილვები საზოგადოებაში, სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში და ამის შემდეგ მიღებული კოდექსის საფუძველზე, რომელიც იქნება მის ირგვლივ საზოგადოების მაღალი კონსოლიდა-

ციის საშუალებაც, მისი დანერგვით მიაღწიოს კონკრეტულ წარმატებებს. სხვა გზა ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად მოლიპულია, ქვეყნისათვის კი – მავნე.

ფაქტები, არგუმენტები და საერთაშორისო პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა. ხელისუფლება კანონმდებლობას უნდა არეგულირებდეს იმდაგვარად, რომ დაცულ იქნას როგორც საქართველოს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე, სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები და მათი ბალანსი.

P.S. კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების „ზურგს უკან შევიდა“. მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა. საზოგადოებამ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე დაიდო. კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა. მასზე არც ერთი დადებითი გამოხმაურება არ ყოფილა საჯარო სივრცეში. სიტუაციის გადარჩენა, ეტყობა, „თავის თავზე აიღო“ საქართველოს პარლამენტის წევრმა ზურაბ ტყემალაძემ და მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე დღეში შეიქმნა ე.წ. „ალტერნატიული ვარიანტი“. ჩვენ ხელთ არ გვაქვს ამ უკანასკნელის ოფიციალური ვერსია (თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ამ „ალტერნატიულ ვარიანტში“ არსად არ ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ასევე, არ ჩანს, ანალიზზე დაფუძნებულ რა გამოწვევებს პასუხობს იგი. კანონპროექტი უნდა ემსახურობდეს ხედვის, სტრატეგიის და დასახული მიზნების განხორციელებას). სამუშაო ვერსიის საფუძველზე, ბუნებრივია, განხილვას ვერ შევთავაზებთ მკითხველს, თუმცა ერთის თქმა კი შეგვიძლია: თუ ბატონი ტყემალაძე ეცდება ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაჟღენთილი და პარლამენტს შესთავაზოს როგორც ალტერნატივა – ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა. ჩვენი ვალია აკადემიურად გავაფრთხილოთ იგი, რომ ქართული მიწის განთავსების ხელშეწყობის შემთხვევაში ბატონი ტყემალაძე პერსონალური პასუხისმგებლობით წარსდგება სასამართლოს წინაშე.

– მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორია, სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

- თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ ინირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ;
- ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა.
- საქართველოს რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;
- საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;
- მიწა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდგმისა და ერის განმტკიცების ფაქტორი;
- ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მიწასთან მარადიულ კავშირშია;
- გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქმნელია;
- მიწისაგან გლეხკაცის მონყვეტა გამოიწვევს სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლას.
- სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
მინილ ჯიჯუაძი,
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ანზორ მისხიშვილი,
პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

მილოცვა



ჭურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქცია ულოცავს ჭურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრს, ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერების დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბატონ პაატა კოლუაშვილს აგრარულ სფეროში, ეკონომიკის დარგში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის ნოდების მინიჭებას.



ნიადაგის გასარწყავების პრობლემები საქართველოში

საქართველოში უკვე აღარ არსებობს სარწყავი სისტემის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა იმდროინდელი. საკვები პროდუქტების ადგილობრივი მოიხარება და მოსახლეობის მასობრივად იყო დასაქმებული. ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად შეცვლილია. ნიადაგის გასარწყავება უმეტეს რეგიონებში პრობლემად იქცა, რის გამოც საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ზოგჯერ საფრთხილოდ შეიძლება გამოვიყენოთ.

IX-XII საუკუნეებში წარმატებით მოქმედებდა სარწყავი სისტემები და წყალსადენები, მათ შორის ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, კახეთში. ისტორიულად ცნობილია თამარ მეფის მრავალმხრივი ღვაწლი. იგი მთელ რიგ საკითხებთან ერთად ნიადაგის გასარწყავებასაც აქცევდა ყურადღებას. მისივე ინიციატივით ამოქმედდა ალაზნის და სამგორის სარწყავი სისტემები. წარმატებით გამოიყენებოდა ვარძის, დმანისის, გეგუთის და თბილისის წყალსადენები. სარწყავი სისტემის ფართო ქსელის მოქმედების შედეგად მოსახლეობას მოჰყავდა: ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი, მზესუმზირა, სოიო, ლობიო, ბარდა, კარტოფილი, ქარხალი, სტაფილო და სხვა.

ნიადაგის სარწყავი სისტემის მოქმედების შედეგად ფართო მასშტაბით განვითარდა მევენახეობა-მებაღეობა. წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. ბოლო პერიოდში გვალვიანმა ამინდებმა და სარწყავი სისტემის ნაკლებობამ ძლიერ დააზარალა მოსახლეობა, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახა 2014 წლის ყურძნის მოსავლიანობაზე.

ნიადაგის გასარწყავება ასევე აუცილებელია ბუნებრივი სათბ-საძოვრების მოსავლიანობის ასამაღლებლად, რაც ხელს შეუწყობს ძროხეულის სარძეო პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და მოზარდული პირუტყვის წონამატის ყოველდღიურ მომატებას, ზამთრისათვის თივის მარაგის შექმნას. ნაკლებმოსავლიან საძოვრებზე პირუტყვი ბალახის ძიებში გადაადგილების შედეგად მნიშვნელოვანი რაოდენობით ენერჯის ხარჯავს, რის გამოც პროდუქტიულობა საგრძნობლად მცირდება.

სარწყავი წყლის მიწოდების საკითხი უნდა მოგვარდეს ქართლის, კახეთის, სამხრეთ საქართველოს და მთელ რიგ სხვა რეგიონებში, რათა განხორციელდეს მინის მოსავლიანი ადგილების ათვისება. ტაშისკართან ან ქვიშხეთთან

აგებული ნაგებობებიდან საირიგაციო არხით მტკვრის წყლის მიწოდება შეიძლება მდინარის ორივე მხარეს მდებარე სოფლებზე, რის საშუალებითაც ათათასობით ჰექტარი მიწა გასარწყავდება.

კახეთის რეგიონში უნდა აშენდეს წყალსაცავები და სარწყავი წყლის ახალი სისტემები. პირველ რიგში უნდა აღდგეს მდ. ალაზნის სარწყავი სისტემა, რის მეშვეობითაც მოიწვევება ზილიჩას მინდვრები, მათ შორის შირაქი, რომელიც მდებარეობს გარე კახეთის ზეგანზე, მდ. იორსა და ალაზნის შორის და იქ 22 ათასი ჰექტარი მალაღმოსავლიანი შავმიწა ნიადაგებია. მათ უძველესი დროიდანვე წარმატებით იყენებდა მოსახლეობა.

წყალმომარაგება ნიადაგის ფართობების მასობრივი გამოყენების მიზნით უნდა განხორციელდეს სამცხე-ჯავახეთში და დასავლეთ საქართველოში.

საქართველო ცნობილია, როგორც მცირემინიანი ქვეყანა. ფართობის უმეტესი ნაწილი ტყე-მთიან, ქვა-ლორღიან და კლდოვან ადგილებზე უკავია. ყოველივეს სჭირდება გათვალისწინება და რაც გაგვაჩნია, მისი მაქსიმალურად გამოყენებაა საჭირო. ამ საკითხთან დაკავშირებით ხატოვანი გამონათქვამიცაა – „შრომა სიმდიდრის მამაა, მიწა კი მისი დედა“.

სარწყავი სისტემის უმოქმედობა ნიადაგში იწვევს მარილების დაგროვებას, დამლაშებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას. მისი გამოსწორება მხოლოდ სარწყავი სისტემის მეშვეობით შეიძლება.

საქართველო მსოფლიო მასშტაბით გეოგრაფიის სახელწოდებითაა ცნობილი, რაც უკავშირდება ნიადაგზე შრომით საქმიანობას. ჩვენს ქვეყანაში უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო ხორბლისა და ვაზის სხვადასხვა ჯიშები. გაზეთ „ჩემი მამულის“ საშუალებით შემამუშაოთ საბჭოს მიერ 2013წ. ივნისში გამოქვეყნდა მიმართვა ქვეყნის მთავრობის მიმართ სახნავ-სათესი ფართობების, ბალ-ვენახების და საძოვრების

გასარწყავებასთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად იქნას ათვისებული წყლის არსებული რეზერვები. პირველ რიგში აღდგენილი უნდა იქნას უმოქმედო სარწყავი სისტემები ისე, როგორც ეს განხორციელდა ამ ცოტა ხნის წინათ მცხეთაში. დამატებით საჭიროა ახალი სარწყავი სისტემების ამოქმედება მტკვარზე, ლიახვზე, ალაზანზე, იორზე, რიონზე და სხვა მრავალ მდინარეზე.

რამდენიმე წლის წინათ მწყობრიდან იქნა გამოყვანილი სარწყავი სისტემები, მოჭრეს და საზღვარგარეთ გაიტანეს წყლის მილები. სოფ. კრწანისში (გიგანტი) და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე შესანიშნავად მარაგდებოდა ნიადაგი სარწყავი წყლით. მრავალი ჰექტარი რკინის მილების საშუალებით დაწვინებული ნესით ირწყვებოდა, რაც დადებითად მოქმედებდა როგორც ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებაზე, აგრეთვე მოსავლიანობაზე. მტკვრიდან არხების საშუალებით მოედინებოდა წყალი. მოსახლეობას წარმატებით მოჰყავდა მარცვლეული კულტურები, ბალჩეული, ბოსტნეული და სხვა. შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები კარგად მრავლდებოდა. მრავალჯერ შეგვინიშნავს ხობობი, კურდღელი, სხვადასხვა სახის ქვეწარმავალი, მუდამ ისმოდა ბაყაყის ყიყინი. სარწყავი სისტემის შეწყვეტის შემდეგ გაქრა და გადაშენდა ცოცხალი არსებები, გახმახე-მცენარეები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცოცხალი სამყაროს შენარჩუნება-გამრავლებისათვის აუცილებელი და საუკლებლოა სარწყავი სისტემის მოქმედება, რაც დადებით გავლენას ახდენს უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობაზე. სისხლის საშუალებით ადამიანის ორგანიზმში უჯრედებს მიენოდება საკვები ნივთიერებები. ამ როლის შესრულებას მცენარეებში წყალი უზრუნველყოფს.

ნიადაგის გასარწყავებისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებები პირველი რიგის საქმიანობად სახელდება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის მასობრივ დასაქმებას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

იპოზ შუბაიძე,
პროფესორი, „აგროგანიტარების
ჯგუფის“ კონსულტანტი, სოფ. მეურნ.
მეცნ. დოქტორი.

ორგანული მეურნეობის მნიშვნელობა და ბრადისიული მეურნეობის/წარმოების უარყოფითი მხარეები

**საპარტიველოში უსსოვარი დროიდან მოსახლეობა მის-
დევს მეურნეობას. საუპუნეივის მანძილზე მართველზე
ხალხზე სოფლის მეურნეობაში დიდი გამოცდილება და
ცოდნა დააბრუნა. მართველი გლეხი პირველ რიგში შე-
მოქმედი იყო. ამის კარგი მაგალითია გლეხური სელექცია
- ვაზისა და ხორბლის ადგილობრივი ჯიშები.**

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქიმი-
ური მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობაში
ქიმიური სასუქებისა და შხამქიმიკატების დანერგვას მოჰყ-
ვა. მანქანები და ხელსაწყოები სულ უფრო ვითარდება და გა-
მოიყენება იმისათვის, რომ ადამიანური სამუშაო ძალა უფრო
პროდუქტიულად იქნას გამოყენებული ან საერთოდ გამოი-
რიცხოს წარმოების პროცესიდან. ეს იწვევს ფართობების
ზრდას და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეო-
ბის რიცხვის შემცირებას.

მეურნეობის ინტენსიფიცირება მეტი შემოსავლის მიღე-
ბის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ გარემო ამ შემთხვევაში
უფრო მეტად ზარალდება. ინტენსიფიკაციას აქვს კიდევ სხვა
შედეგებიც; ის ნიშნავს პირველ რიგში რაციონალიზებასა და
სპეციალიზებას მეურნეობის ცალკეული განხრებში: მაგა-
ლითად, მეფრინველეობაში ან კვერცხის წარმოებაში განვი-
თარება იმდენად შორს წავიდა, რომ ეს სფერო დიდმა სანარ-
მოებმა აიღეს თავის თავზე, ანუ აქ გვაქვს უკვე ინდუსტრიუ-
ლი წარმოება და არა ფერმერული მეურნეობა.

სხვა სფეროებში დიდმა კონცენტრებმა სხვა გზები იპოვეს
იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართულიყვნენ. ქი-
მიური ინდუსტრია, მაგალითად, ყიდის არა მარტო სასუქებს-
სა და პესტიციდებს, არამედ მან თავის თავზე აიღო თესლის
წარმოებაც. პროდუქციის შემსყიდველთა მხრიდან შედგა
ასევე კონცენტრაციის პროცესი ისე, რომ გლეხები ჩავარ-
დნენ დიდ დამოკიდებულებაში საკვები პროდუქტების შემ-
სყიდველ და გადამამუშავებელ ინდუსტრიებთან. გაიზარდა
მოსავლიანობა და შემსუბუქდა შრომა. ამ დროისათვის ევ-
როპაში მოთხოვნილება ს/ს პროდუქციაზე გაიზარდა და ამ-
დენად ეს თითქოს ერთი შეხედვით წყვეტდა პრობლემას.

თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, ხელოვნურად ნაწარ-
მოები სასუქებით, მცენარეთა ქიმიური დაცვითა და სელექცია-
ში მიღწევებით მოსავლიანობა და წარმოების ინტენსიფიკა-
ცია მნიშვნელოვნად გაიზარდა მანამდე არსებულ დონესთან
შედარებით. ხელსაყრელი კლიმატით ანდა კარგი ნიადაგით
გამონეულმა ბუნებრივმა განსხვავებებმა დაკარგეს თავისი
მნიშვნელობა. მეცხოველეობის კონცენტრაციამ ცალკეულ
ადგილებზე და ცხოველთა საკვების იმპორტმა მიგვიყვანა
მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის ადრე არსებული
კავშირის დაკარგვამდე. ორივე მეურნეობის სფეროს ინტენ-
სიფიკაცია მოხდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ადრე ცხოველთა რაოდენობა დამოკიდებული იყო სამეურ-
ნეო ფართობებზე. ორგანული სასუქებით განოყიერება მინდვ-
რების ნაყოფიერებას უზრუნველყოფდა და ამით ხდებოდა ერ-
თგვარი შეწყვეტილი ციკლის აღდგენა, ბუნებრივის მსგავსის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრადიციული გადა-
მუშავება მეურნეობის მიერ და მისი პირდაპირი გასაღება
წარსულს ჩაბარდა. გადამამუშავებელ სანარმოებსა და კონ-
ცერნებს აქვთ საუკეთესო ადგილები ბაზარზე, ვიდრე მეურ-
ნეთა დიდ ნაწილს, რომლებიც ცუდად არიან ორგანიზებული.

ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარ-
მოების რისკი რჩება გლეხებს, ხოლო მოგება მათგან მიდის
მათთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ პარტნიორებთან.
ექსტრემალურ შემთხვევებში ეს ინდუსტრია წინასწარი ხელ-
შეკრულებების გზით ფაქტიურად უსაზღვრავს გლეხს რა და
როგორ უნდა აწარმოოს. ხშირ შემთხვევაში ე.წ. დასაშვებ
ნორმაზე მეტიც გამოიყენებოდა ქიმიური სასუქები და ქიმი-
ური პრეპარატები; მათი გამოყენების უარყოფითი შედეგები
დღეს სახეზეა: გამოფიტული ნიადაგები, დაბინძურებული
სასმელი წყალი. ეს ყველაფერი სხვა ზემოთ დასახელებულ-
თან ერთად ქიმიის უკონტროლო გამოყენების შედეგია. გა-
უარესდა პროდუქციის ხარისხი და მავნე გახდა ადამიანის
ჯანმრთელობისათვის, დაბინძურდა გარემო.

გამოცდილმა და დაკვირვებულმა მეურნეებმა შეამჩნიეს,
რომ:

- ქიმიური სასუქი ფიტავდა ნიადაგს და ყოველ წელს იგი
მზარდი რაოდენობით უნდა შეეტანათ. ეს კი მეურნეს დამო-
კიდებულს ხდიდა ქიმიურ წარმოებაზე.

- შხამ-ქიმიკატის მოხმარებამ მავნებლებისა და დაავადე-
ბების წინააღმდეგ არ გადაჭრა პრობლემა, სულ უფრო მეტი
ძალისხმევა საჭირო მავნებელ დაავადებებთან საბრძოლვე-
ლად.

- შხამ-ქიმიკატების გამოყენება მავნე გავლენას ახდენ-
და გარემოზე. ნიტრატების შემცველობა გრუნტის წყლებ-
ში წლების განმავლობაში მუდმივად მატულობს. გრუნტის
წყლებში ასევე ხვდება პესტიციდების ნარჩენები და სერიო-
ზულ ზიანს აყენებენ სასმელი წყლის ხარისხს.

- თანამედროვე სოფლის მეურნეობა ხელს უწყობს ნიადა-
გის როგორც წყლისმიერ, ასევე ქარისმიერ ეროზიას.

- თანამედროვე სოფლის მეურნეობამ დიდი საფრთხე შე-
უქმნა კულტურული მცენარეებისა და მინაური ცხოველების
მრავალფეროვნებას, სულ უფრო მეტად ვრცელდება სპეცი-
ალიზებული მეურნეობები, რომელთა შენახვა დიდ ძალისხ-
მევასთან არის დაკავშირებული, ყველა აქედან გამომდინარე
უარყოფითი შედეგებითურთ.

- სოფლის მეურნეობა გარკვეულ პერიოდამდე არ იყო
ენერჯის დიდი რაოდენობით მომხმარებელი, ნაწარმოებ
საკვებში უფრო მეტი ენერჯია იყო, ვიდრე ის მათ წარმოება-
ზე იხარჯებოდა. ახლა კი შეინიშნება, რომ სოფლის მეურნე-
ობის პროდუქციის წარმოებისათვის უფრო მეტი ენერჯიაა
საჭირო, ვიდრე ის თვითონ ამ პროდუქტშია. რომ შევადაროთ



მაგალითად დღეისათვის ჩვეულებრივ კონვენციურ მეურნეობაში ინტენსიფიკაციის ხარისხთან კავშირში, კარტოფილსა და მარცვლოვნებში არსებული 1 კალორიისათვის საჭირო ხდება 0,2-0,7 კალორია ენერჯის დახარჯვა, ხოლო მეცხოველეობაში, რომლის ინტენსიფიკაციის ხარისხი ძალიან მაღალია, 1 კალორიის მისაღებად საჭიროა 5-10 კალორია ენერჯია. ინტენსიფიკაციის გამო განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა ნეტო ენერჯის მანარმოებლის ნაცვლად გადაიქცა ენერჯის მომხმარებლად.

● თუმცა გარემოსდაცვითი და ენერჯეტიკული პრობლემები არ არის მხოლოდ, რომლებიც პრობლემებს ქმნიან. წარმოების ინტენსივობის გაზრდამ გამოიწვია ბაზარზე პროდუქციის სიჭარბე, რაც თავის მხრივ იწვევს პროდუქციაზე ფასების დაცემას. პროდუქციის გასაღების, შენახვისა და ნაჭარბის მო-

ფილაქტიკური გამოყენება, ძვალ-ხორცისგან დამზადებული ფქვილის მიღება საკვების სახით, ჰორმონალური პრეპარატების მიცემა) და საკვების დაბინძურება არამინათმოქმედების წარმოშობის მასალით იწვევს ორგანიზმის მდგრადობის შემცირებას და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს.

ბევრი პესტიციდისათვის დადგენილია ის მინიმალური დონე, რომელიც დაშვებულია საკვებში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ საზღვრების დაცვისას უპრობლემოდ შეიძლება საკვების გამოყენება. პესტიციდების მოქმედების შემონეშება მხოლოდ ცხოველებზე შეიძლება. შეიძლება გამოიკვლიო იწვევს თუ არა ესა თუ ის საშუალებები კიბოს, ანდა უარყოფითად მოქმედებს თუ არა ჩანასახზე, მაგრამ ისეთი ზემოქმედების გამოკვლევა, როგორცაა სტრესების გამოწვევა, ნევროზები, ალერგიების დადგენა, არ ხდება ან ხშირად ეს გამოკვლევები არასაკმარისია.

ნახევარზე მეტი პესტიციდისათვის და მათი დაშლის პროდუქტებისათვის არ არსებობს იდენტიფიცირების საშუალება. თვით იდენტიფიცირებადი პესტიციდების კონტროლიც საკმაოდ რთულია. ზოგიერთი პესტიციდისათვის რისკის ყოვლისმომცველი კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია.

გარდა ამისა, მავნებლებიც და დაავადებებიც ადვილად ეგუებიან ქიმიას და რამდენიმე წელიწადში საჭიროა ახალი ქიმიური პრეპარატის შექმნა - ძველი აღარ მოქმედებს, ე.ი. ფერმერის დამოკიდებულება ქიმიურ მრეწველობაზე სულ უფრო იზრდება და მისი მეურნეობის მომგებიანობას ხშირად გარედან შემოტანილი საშუალებები და მათ შორის მნიშვნელოვანწილად სწორედ ქიმიური მრეწველობის პროდუქცია განსაზღვრავს.

ბევრი მეცნიერის და ფერმერის აზრით სოფლის მეურნეობაში ქიმიური პრეპარატების შეცვლა შეუძლებელია. მათი აზრით ქიმიის გარეშე მოსავალს ვერ მივიღებთ. ისმის კითხვა, მაშინ როგორ მოყავდათ მოსავალი ჩვენს წინაპრებს, განა მაშინაც ქიმიას იყენებდნენ? ან თუ ასეთი კარგი შედეგი აქვს ქიმიურ პრეპარატებს, მაშინ რატომ არის დღეს ამდენი მავნებელი და დაავადება, ამდენი წელი ქიმიით ბრძოლამ რატომ არ შეამცირა მათი რაოდენობა?

ისიც კარგადაა ცნობილი, თუ როგორია დღეს საქართველოში შემოტანილი პრეპარატების ხარისხი.


დღეს ჩვენიანიც და უცხოელიც ხშირად გვატყუებს და არავინ იცის, როდის და ვადაგასულ და უხარისხო, ხშირ შემთხვევაში საზღვარგარეთ დიდი ხნის ვადაგასულ პრეპარატებს გვასაღებს (მაგ: დუსტი, გრანოზანი).

ამ ყველაფრისაგან პირველ რიგში ზარალდება მეურნე და ის ადამიანებიც, ვინც ასეთ პროდუქციას ყიდულობს. ბოლო ხანებში იმატა სხვადასხვა დაავადებებმა, ალერგიებმა, საკვებით მონამვლის შემთხვევებმა. ასეთი უხარისხო საკვები პროდუქტები უხვად შემოდის უცხოეთიდან. ასეთი პროდუქტები ამავდროულად დაბალი ფასითაც გამოირჩევა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჩვენი მეურნეობისათვის ეს სერიოზული კონკურენციაა, უხარისხო საკვები განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვებზე - თითქმის ყოველი მეორე ბავშვი ალერგიულია, რაც არასწორი კვების და დაბინძურებული გარემოს შედეგია.

ჩვეულებრივი კონვენციონალური მეურნეობისაგან განსხვავებით, ბიომეურნეობა ეფუძნება ძველ ტრადიციულ გამოცდილებას, ამდირებს მას ახალი, თანამედროვე მიღწევებით და გვთავაზობს ისეთ მეთოდებს, რომლებიც გამოირიცხავენ ქიმიური სასუქებისა და ქიმიური პრეპარატების გამოყენებას. მათ ნაცვლად გამოიყენება ისეთი მეთოდები და ბუნებრივი საშუალებები, რომლებიც უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის.

მდგრადი მეურნეობა სიცოცხლისუნარიანია და სტაბილურად ვითარდება. მდგრადობისათვის საჭიროა თანამშრომლობა და არა კონფლიქტი.

ჩვეულებრივი მეურნე



შორების ხარჯებმა ევროპაში ისეთ დონეს მიაღწია, რომ მათი დაფინანსება შეუძლებელი გახდა. თავისი ნაჭარბის მოცილებისათვის ინდუსტრიული ქვეყნები იჭრებიან განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე და მათ მეურნეებს მძიმე მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან ისინი კონკურენციას ვერ უწევენ დასავლეთის ქვეყნების იაფფასიან პროდუქციას.

● სანარმოო საშუალებების ფასების მატებისას მეურნეთა შემოსავლების უზრუნველყოფა მიიღწევა წარმოების პროდუქტიულობის ზრდის საფუძველზე. გაიზარდა მეურნეობებში კაპიტალის მოხმარება, რაც აძვირებს პროდუქციის წარმოების ფასს. ეს ხდება პროდუქციის სულ უფრო მეტად გაუფასურების ფონზე.

● ამგვარად, მოყვანილ პროდუქციას ნაკლები საყუათო ღირებულება აქვს. ნიტრატებით გაძლიერებული განოყიერება არა მარტო სასმელი წყლის ხარისხზე ახდენს გავლენას, არამედ საკვებში გაზრდილია ნიტრატების შემცველობაც. ასევე პესტიციდებითაც ხდება ჩვენი საკვების დაბინძურება. პესტიციდები ხილსა და ბოსტნეულში, აგრეთვე ჰორმონები ხორცში საკვები პროდუქტების დაბალი ხარისხის მაჩვენებელია.


● სანარმოო ნარეგების გამოყენება (ზრდის სტიმულატორები, გემოს სინთეტიკური საკმაზები, ანტიბიოტიკების პრო-

ბიომეურნეობის მეთოდები ემყარება: ბუნებაზე დაკვირვებას, მცენარეებისა და ცხოველების ქცევების შესწავლას და ბუნებაში არსებული კანონზომიერების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში. ჩვენი წინაპრები სწორედ ბუნებისაგან სწავლობდნენ და ამიტომ ახერხებდნენ მავნებლებთან და დაავადებებთან გამკლავებას.

ბიომეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია:

- ჩაკეტილი სანარმოო ციკლი;
- თესლბრუნვა, სიდერაცია;
- ნიადაგის განოყიერება ორგანული სასუქებით, მეურნეობის შიდა რესურსების გამოყენება ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის;
- მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება;
- ცხოველებისათვის საკვების მიწოდება საკუთარი მეურნეობიდან - დასაშვებია შესყიდვა ეკოლოგიური მეურნეობებიდან მცირე რაოდენობით;
- ცხოველების შენახვა მათი სახეობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

მოკა წერეთელი, რუსუდან ბარაბაიანი



Syngenta

„ნაყოფიერი ვაზი“

სარეზერვუარო - უპროცენტო კრედიტები ქართველ მევენახეებს კომპანია „SINGENTA“-სგან

2015 წლის სავაჭარო-საფინანსო სავაჭრო მოახლოვდა, ამინდებიც კარგია. პალ-ვენახეობაში საგაზაფხულო სამუშაოები იწყება, ფერმერებს კი აინტერესებთ რას უნდა შეესაბამებოდეს წლიურად სავაჭრო კომპანია Syngenta მომხმარებლებს, რა ტექნიკურ დახმარებას გაუწევს მათ. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება კომპანია Syngenta-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, სოფლის მეურნეობის მენეჯერი დომინიკო ზურაბ ლოლაძე.

– ჩვენმა მომხმარებელმა იცის, რომ Syngenta აგრობიზნესის სფეროში მსოფლიოში ლიდერი კომპანიაა და მის მიერ წარმოებული პროდუქცია მაღალ საერთაშორისო სტანდარტსა და ხარისხს აკმაყოფილებს.

ჩვენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ფერმერებს მაღალი

ხარისხის მცენარეთა დაცვის საშუალებებს, სათესლე მასალასა და ტექნიკურ დახმარებას ვთავაზობთ. Syngenta-ს პრეპარატები რეგიონში არსებულ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას ფარავს.

წლებანდელი სეზონისათვის მზადება ჯერ კიდევ ზამთარში დავიწყეთ, მო-

ვამზადეთ და გამოვეცით მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სათესლე მასალების ახალი კატალოგი. ყველა კულტურისათვის Syngenta-ს პრეპარატების შესაბამისად შევქმენით მცენარეთა დაცვის სქემა, რომელსაც უკვე ვანვით მომხმარებელს, მაღალი მენეჯერებს, ფერმერებს.

გარდა ამისა, წლებანდელი მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს. Syngenta-ს საქართველოს წარმომადგენლობამ და „საქართველოს ბანკმა“ შეიმუშავეს ერთობლივი პროექტი დევიზით – „ნაყოფიერი ვაზი“.

ამ პროექტის შესაბამისად ფერმერებს შეუძლიათ სამიდან რვა თვის ვა-



დით, საბანკო გარანტიის გარეშე, უპროცენტო კრედიტი მიიღონ.

ჩვენთან მოვა ფერმერი, გაფორმდება ხელშეკრულება, შემდეგ ეს ხელშეკრულება გადაეგზავნება „საქართველოს ბანკს“ და ხდება სამმხრივი შეთანხმების გაფორმება. „საქართველოს ბანკი“ ხელშეკრულების საფუძველზე, ჩვენი შუამდგომლობით გაცემს კრედიტს, რაშიც კლიენტს არ მოსთხოვს საბანკო გარანტიას და, რაც მთავარია, არ დაარიცხავს პროცენტს. ბანკის მიერ ფერმერისათვის გაცემულ კრედიტზე კლიენტის ნაცვლად საპროცენტო დანარჩენს კომპანია Syngenta დაფარავს, ანუ კლიენტი პროცენტისგან გათავისუფლებულია. ვფიქრობ, ეს კარგი სიახლეა, რომელიც სპეციალურად ფერმერთა დასახმარებლად შევიმუშავეთ.

– ასეთი პირობები მომხმარებლისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს...

– რასაკვირველია, ჩვენი მომხმარებელი ამ სიახლეს კმაყოფილებით ხვდება. პროცენტისგან გათავისუფლების გარდა, სესხის ალებისა და გადახდის პროცედურაც გაიოლებულია. მათ შეუძლიათ რვა თვის განმავლობაში თანდათანობით დაფარონ ან სულაც რვა თვის თავზე მოსავლის დაბინავენის შემდეგ გადაიხადონ სესხი.

– რა რაოდენობის სესხის აღება შეუძლიათ ფერმერებს?

– ოცი ათას ლარამდე არავითარი გირაო არ არის საჭირო.

– თუ უფრო მეტი სესხის აღება უნდა ფერმერს?

– ვისაც ოცი ათას ლარზე მეტი კრედიტის ალების სურვილი აქვს, 50 ჰექტარი ვენახი მაინც უნდა ჰქონდეს. ასეთ ფერმერს ვუშვებთ ბანკში, ბანკი ჩადებს მიწას გირაოდ და ჩვენ ვანვლით პრეპარატებს, შევუდგენთ მცენარეთა დაცვის სქემას და მთელი ვეგეტაციის მანძილზე ჩვენ ვაკონტროლებთ,

როგორი სიტუაციაა ავენახში, როდის შენამლონ, რით შენამლონ. ჩვენ მოსავლის მოყვანამდე ვართ პასუხისმგებელი მცენარეთა დაცვის ღონისძიებების სწორი ორგანიზების მხრივ.

– პროექტი „ნაყოფიერი ვაზი“ მარტო მევენახე ფერმერებს შეეხებათ თუ სხვებსაც შეუძლიათ ასეთი საჩუქარი მიიღონ?

– წლეულს ეს პროექტი მარტო ვაზზე გავაკეთეთ, ვნახოთ როგორ იმუშავებს. მომავალ წელს შეიძლება გორისა და ქარელის რაიონში ხეხილზეც გავაკეთოთ, შესაძლებელია პროექტში მომავალში მარცვლოვანი კულტურები: სიმინდი, ხორბალიც ჩავერთოთ, არავითარი შეზღუდვა არ იარსებებს. დავაკვირდებით ჩვენი ფერმერები როგორ მიიღებენ ამ სიახლეს, რა ეფექტი ექნება მას.

ეს არის კომპანია Syngenta-ს ინიციატივა. ასეთი მეთოდით იგი სხვა ქვეყნებშიც მუშაობს. გარდა ამისა Syngenta-ს აქვს სხვა პრაქტიკული გამოცდილებაც, რის დანერგვასაც ჩვენ ვცდილობთ. ეს გახლავთ Syngenta-ს „ხარისხის კონტრაქტი“, რაც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებას: ფერმერებთან, რომლებიც იყენებენ ჩვენს პროდუქციას, ვდებთ ხელშეკრულებას, ვაძლევთ სპეციალურ სერთიფიკატს იმიტომ, რომ ღვინის მწარმოებლებს თუ მეხილეებს ძალიან ბევრი ქვეყანა სთხოვს, რა ტექნოლოგიით მოიყვანა პროდუქტი, რა პრეპარატები გამოიყენა მოვლა-მოყვანის დროს, რომ პრეპარატების ნაშთი არ დარჩეს პროდუქტში. ჩვენ ამ შემთხვევაში ძალიან ძლიერი პოზიცია გვიჭირავს, რადგან Syngenta-ს პრეპარატები მაღალი ხარისხისაა, ამიტომ თამამად ვიძლევიან რეკომენდაციას: ვინც გამოიყენებს ჩვენ პროდუქციას, ამ მხრივ პრობლემები არ შეექმნება.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება ჩვენთან ევროპასთან

ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტისთვის ევროპის კარი ღიაა, მაგრამ კონტროლს ვერავინ დაემალება. თუ საზღვარზე ლაბორატორიამ აღმოაჩინა რამე ნარჩენი, ჩათვალეთ, რომ რამდენიმე წელიწადი ამ პროდუქტისთვის ევროპის ბაზარი დაიხურება. ეს რომ არ მოხდეს, ფერმერებს ვთავაზობთ ჩვენი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ Syngenta-ს რეკომენდაციას, როდის რით უნდა შესხურდეს ესა თუ ეს მცენარე, როგორ უნდა მოვიყვანოთ ხარისხიანი პროდუქტია. ამასთან, ჩვენ შეგვიძლია ეს პროდუქტი ხარისხის გასაკონტროლებლად შევამონებინოთ აკრედიტებულ ლაბორატორიაში და მივაღებინოთ ე.წ. Syngenta-ს სერთიფიკატი, რომელიც სავიზიტო ბარათის დარია პროდუქტისათვის ევროპის ბაზარზე შესასვლელად. ასე კეთდება უნგრეთში, მოლდოვა, სხვა ქვეყნებში. ამ გზას თანდათანობით ჩვენც დავადგებით

– Syngenta დაინტერესებულია, მსოფლიოს ყველა კუთხეში ნებისმიერმა ფერმერმა მიიღოს მაღალი ხარისხის პროდუქტია.

– Syngenta გარდა იმისა რომ ზრუნავს, თავისი პროდუქციის ბაზრის გაზრდაზე, მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფერმერების მიერ მიღებული პროდუქტი იყოს პესტიციდების ნარჩენებისგან თავისუფალი, ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო.

– სად შეუძლიათ ფერმერებს შეიძინონ – Syngenta-ს პროდუქტია?

– Syngenta-ს ბრენდირებული მაღალია გვაქვს თელავსა და გორში, წლეულს გავხსნით ქარელში, წნორში, სოფელ მაღაროში, ყვარელში, თბილისში, დიდუბეში ყოფილი „სამთო-ქიმიის“ გვერდით. ჩვენი კომპანიის კოორდინატები მითითებულია სარეკლამო მასალაზე, ბუკლეტებზე. ფერმერებს, დისტრიბუტორს, ნებისმიერ პიროვნებას, ვისაც ოდნავი ეჭვი გაუჩნდება ჩვენი პროდუქციის მიმართ, შეუძლიათ მოგვმართონ კომპანიასთან მოქმედ ცხელ ხაზზე ტელ.: – 235 33 12 და 599 33 07 63.

ჩვენ არა მარტო მცენარეთა დაცვის საშუალებებს ვთავაზობთ ფერმერებს, არამედ მაღალი ხარისხის სხვადასხვა კულტურის უხვმოსავლიანი ჯიშების: სიმინდის, მხესუმორის, ბოსტნეული კულტურების გამოცდილ სათესლე მასალას. თითოეულ კულტურის თესლს ახლავს პრაქტიკული რჩევა ფერმერებისთვის – როგორ დათესოს, მოუაროს, მიიღოს ხარისხიანი მოსავალი.

ესაუბრა
ნესტან გუგუშვილი



თბილისისა და მისი შემოგარენის მწვანე საფარის დომინანტი მავნე ორგანიზმები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა

სტატისტიკური მონაცემებით ქ. თბილისში ერთ სულ მოსახლეზე მოსული გამწვანებელი ტერიტორიის წილი 5 კვადრატული მეტრის ფარგლებშია, ხოლო მისი ნორმა 15 კვადრატულ მეტრს შეადგენს. დედაქალაქისა და მისი შემოგარენის საჯარო აუზის სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემების გამწვანებისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მწვანე ნარგავის ინტენსიურ გაშენებას, მოვლას და ფიტოსანიტარული მონიტორინგის საფუძველზე მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული ღონისძიებების ჩატარებას.

ქალაქისა და მისი შემოგარენის მწვანე საფარს დიდ ზიანს აყენებენ, მავნე ორგანიზმებიდან – თავისებური მღრღნელები, ფოთლის მღრღნელი მავნებლებიდან: მზომელები, პარკვევიები, ჩრჩილები, ალურები და სხვა, ფოთლის მწუნნი მავნებლებიდან: ტკიპები, ბუგრები, ფსილები, კოქციდები, ბაღლინჯოები, ჰერმესები და სხვა, ღეროსა და ფესვის მავნებლებიდან – ალურები, ქერქიჭამიები, ცილაჭამიები, ხარაბუხები, ღრაჭები, მავთულა და ცრუმავთულა ჭიები და სხვა, დაავადებებიდან – ნიწვოვანი ჯიშების შუტე (ნიწვების ცვენა), დიპლოდიოზი, ფომოფისი, ფილოფორიოზი, გლიოკლადიოზი, რიზოქტონიოზი, ფოთლოვანი ჯიშების ანთრაქნოზი, ნაცარი, ფესვების ლპობა, ვერტიცილიოზი და სხვა. მავნე ორგანიზმების ინტენსიური გავრცელების შედეგად, რაც ნაწილობრივ გარემო კლიმატური პირობების ცვლილებებით არის განპირობებული, ადგილი აქვს მცენარეთა დაკნინებას და ხშირ შემთხვევებში მათ ხმობას.

ჩვენს მიერ 2014 წელს მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით თბილისში და მის შემოგარენში გამოკვლეული იქნა 97277 ძირი ხე-მცენარე, 23169 ბუჩქი, 500 კვადრატული მეტრი ყვავილნარი, საანალიზოდ შეირჩა და აღებული იქნა მცენარეთა დაზიანებული ვეგეტატიური ნაწილებიდან (შტამბი, ფესვები, ტოტები, ფოთლები და ნიწვები) 2133 ნიმუში, გაკეთდა ნიადაგის 585 ჭრილი. მარშრუტული გამოკვლევებისას გაკეთებულ ნიადაგის ჭრილებს, შეგროვილი დაზიანებული და დაავადებული მცენარის ნიმუშებს კომპანია „ბიოაგროს“ მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ლაბორატორიაში ჩაუტარდა დეტალური გამოკვლევა. მავნებლების გამოვლინება და სახეობრივი შედგენილობის დადგენა ხდებოდა ვიზუალურად, მცენარეთა დაზიანების ფორმების მიხედვით, ბინოკულარულად და სათანადო სარკვევების გამოყენებით. მცენარეთა დაავადებების გამომწვევი პათოგენების სახეობრივი შედგენილობის დადგენის მიზნით მუშავდებოდა დაავადებული მცენარეების ნიმუშები ლაბორატორიულ პირობებში, ხდებოდა მათი ვიზუალური და მიკროსკოპული გამოკვლევა, კერძოდ – მათი ანატომიური ჭრილების, ნოტიო კამერებში და მყარ საკვებ არეზე განვითარებული ნაყოფიანობის კულტურალურ-მორფოლოგიური ნიშნების შესწავლა, რის მიხედვითაც სარკვევების გამოყენებით ხდებოდა თითოეული პათოგენის იდენტიფიკაცია.

ლაბორატორიული და მიკოლოგიური ანალიზის შედეგად ჩვენს მიერ ფიჭვების მიწისზედა ორგანოებზე დაავადებებიდან გამოვლენილი იქნა: *Diplodia pini* Fz., *Alternaria tenuis* Nees., *Xylohypha pinicola* D. Wark., *Gliocladium rozeum* Corda., *Aspergillus niger* Link., *Lopodermium pinastri*, *Melampsora pintorqua* A., *Phomopsis pini* Sacc., *Pestalozia*



sp., *Hypoderma brachisporum* Sacc. და სხვა საპროფიტი სოკოები, ფესვებზე კი – *Cylindrocarpon destructans* Sacc. და *Fuzarium blasticola* Sacc. მავნებლებიდან დომინანტობდა ხარაბუხას – *Monochamus galloprovincialis* Ol-ის სხვადასხვა ხნოვანების მატლები, ქერქიჭამიები – *Blastophagus pini-perda* L., *Blastophagus minor* Hart., *Ips sexdentatus* Boern., *Ips acuminatus* Eichn., პენიანები – *Phaenops cyanea* Fabr. და სხვა. კვიპაროსებზე და კედრებზე დაავადებებიდან გამივლინდა ოქროყანისა და ფუნიკულიორის მიმდებარე ტერიტორიაზე და ზემო წყნეთში – *Diplodia pini* Fz., *Fuzarium blastikola* Sacc., *Xylohypha pinicola* D. Wark., *Alternaria tenuis* Nees. და სხვა საპროფიტი სოკოები. ნიწვოვნებზე მავნე ორგანიზმები, დაავადებებისა და მავნებლების სახით მასობრივად არის გავრცელებული შავი, ელდარისა და სოსნოვსკის ფიჭვებზე დაბა წყნეთში, განსაკუთრებით წყნეთის გზატკეცილის ორივე მხარეს, ოქროყანისა და ფუნიკულიორის მიმდებარედ, თბილისის ზღვისა და დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე, აღმაშენებლის ხეივანში და ხუდადოვის ტყის მიმდებარედ. ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე, მავნე ორგანიზმების შეზღუდვის მიზნით, ერთი ნამლობა ჩატარდა „კაბრიო-ტოპისა“ და „ფასტაკის“ კომბინირებული ნაზავით, ხოლო მეორე ნამლობა „პოლირამისა“ და „ფასტაკის“ კომბინირებული ნაზავით. ასევე დაავადებული და დაზიანებული შავი ფიჭვისა და კედარის 30 სამოდელო მცენარეზე ვეგეტაციის პერიოდში ფუნიკულიორის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოიცადა კომპანია „ბიოაგროს“ მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ დამზადებული ბიოპრეპარატების „ლეპიდინის“, „ტურინგენის“, „ფიტოკატენას“ და „ბიოკატენას“ 2%-იანი კომბინირებული ნაზავი. აღნიშნულ ნაზავში დამატებული იყო 1%-იანი თხევადი ორგანული სასუქი „ორგანიკა“. ნამლობის ჩატარებიდან 25-28 დღის შემდეგ, მიუხედავად ძლიერი გვალვებისა, მცენარეთა საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა. გაზაფხულზე ტყის ჯიშებზე მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბიოპრეპარატების გამოცდა გაგრძელდება.

გამოკვლევული ფოთლოვანი სახეობებიდან მუხებზე, დილმის ტყე-პარკის, დენდრილოგიური პარკის და მუხიანის ტერიტორიაზე დაავადებებიდან გამოვლინდა მუხის ნაცარი – *Mykosphaerella alpitoides* Sacc., კაკლებზე, ეთნოგრაფიული მუხეუმის, დილმის ტყე-პარკისა და აეროპორტის გზატკეცილის ტერიტორიაზე აღინიშნა კენწეროს ხმობა, რომლის გამომწვევია სოკო – *Marssonia juglandis* P.Magn., ჭადრებზე, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მიმდებარედ გამოვლინდა ანთრაქნოზი – *Glossosporium* sp., და საშუალო ინტენსივობით ახალგაზრდა ნაზარდებზე ზაფხულის ბოლოს ნაცარი – *Mycospherella* sp. ასევე ფესვის ყელის სიღამპლე, რომლის გამომწვევია სოკო – *Armellaria melia* Quel., ცაცხვებზე მავნე მწერებიდან გამოვლინდა კუნელის ტკიპა – *Tetranychus viensis* Zacher., რომელიც თბილისის პირობებში იძლევა ოთხ თაობას და წუწნით აზიანებს მცენარის ფოთლებსა და ახალგაზრდა ნაზარდებს, რის გამოც იწყება ფოთლების გაყვითლება და ნაზარდები ცვენა. ტკიპას როგორც მოზამთრე, ისე სხვადასხვა

დაბის ტერიტორიაზე ცქვლეფია მზომელას ჭუპრების რაოდენობა 1,2 ინდივიდამდე იყო, ზამთრის მზომელას ჭუპრები კი არ გამოვლინდა. კვესეთის ტერიტორიიდან აღებულ ნიადაგის ნიმუშებში ცქვლეფია მზომელას ცარიელი ჭუპრების რაოდენობა ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენდა 0,5-0,9 ინდივიდს, ხოლო ზამთრის მზომელას ჭუპრების რაოდენობა 0,2-0,3-ის ფარგლებში იყო. ბეთანიის ტერიტორიაზე ცქვლეფია მზომელას ჭუპრების რაოდენობა 0,5-0,7-ის ფარგლებში იყო, ხოლო ზამთრის მზომელას ჭუპრები არ გამოვლენილა. კოჯრის ტერიტორიაზე აღებულ ნიადაგის ნიმუშებში ცქვლეფია მზომელას ცარიელი ჭუპრების რაოდენობა შეადგენდა 0,9-1,1 ინდივიდს, ხოლო ზამთრის მზომელას ჭუპრების რაოდენობა 0,2-0,4-ის ფარგლებში მერყეობდა. ასევე კოჯრის ტერიტორიიდან აღებული რცხილასა და ჯაგრცხილას ტოტების ნიმუშებში აღინიშნა ცქვლეფია მზომელას კვერცხების მცირე რაოდენობა (საშუალოდ 20 ნიმუშზე 2 ცალი). კიკეთის ტერიტორიაზე ცქვლეფია მზომელას ცარიელი ჭუპრების რაოდენობა შეადგენდა 0,5-0,6 ერთეულს, ხოლო ზამთრის მზომელას ჭუპრების რაოდენობა 0,1-0,2-ის



ფარგლებში იყო. ტაბახმელას ტერიტორიაზე ცქვლეფია მზომელას ცარიელი ჭუპრების რაოდენობა 1,2-1,4 ინდივიდის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ზამთრის მზომელას ჭუპრები არ გამოვლენილა. მზომელების ჭუპრების, გამოფრენილი პეპლებისა და კვერცხების რაოდენობა გვადლევს საფუძველს, რომ გაზაფხულზე ჩამოთვლილ ტერიტორიებზე საჭირო გახდეს ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება. ივნისის თვეში აეროპორტის გზატკეცილის შუა ზოლში გაშენებული ჩიტავამლების ფიტოსანიტარული მონიტორინგისას მცენარეების ფესვის ყელთან ახლოს დიდი რაოდენობით გამოვლინდა ჩვეულებრივი მემინდვრის – *Microtus arvalis*-ის მოქმედი სოროები, რომელთა რაოდენობა საშუალოდ ერთ კვადრატულ მეტრზე იყო 2-3 ცალი, ხოლო ფითლებზე არაფარდი პარკხვევიას – *Ocneria dispar* L., სხვადასხვა ხნოვანების მატლები, რომელთა დასახლების სიმჭიდროვე

თაობისა და ხნოვანების მატლების წინააღმდეგ ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე 3-ჯერ ჩატარდა ნამლობა აკარიციდ „მასას“ გამოყენებით. მარშრუტული გამოკვლევებისას კუს ტბის, ეთნოგრაფიული მუხეუმის, კოჯრის, ბეთანიის, კიკეთის, ახალდაბისა და ტაბახმელის ტერიტორიაზე მაისის დასაწყისში (1-5 მაისი) ფოთლოვანი სახეობის მცენარეებზე გამოვლინდა ზამთრის მზომელას – *Operopera brumata* L.-ას და ცქვლეფია მზომელას – *Erannis defoliaria* L.-ას პირველი და მეორე ხნოვანების მატლები, რომელთა დასახლების სიმჭიდროვე საშუალოდ ერთ მცენარეზე 25-30-ინდივიდს – ხოლო ზოგიერთ კერებში 35-45 ინდივიდს შეადგენდა. მავნებლების მატლების წინააღმდეგ მაისში ჩატარდა ნამლობა ბიოპრეპარატ „ლეპიდოციდის“ გამოყენებით საავიაციო ულტრამცირემოცულობიანი შემასხურებლით. ნამლობის ჩატარებიდან 15-18 დღის შემდეგ ჩვენს მიერ დადგენილი იქნა პრეპარატის ბიოლოგიური ეფექტურობა, რომელმაც შეადგინა საშუალოდ 75-80%-ი. მიუხედავად ღონისძიების მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობისა, 22-27 ნოემბერს მავნებლების მოზამთრე ფაზების გამოვლენის მიზნით ჩატარებულმა ფიტოსანიტარულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ დაბა წყნეთის ტერიტორიაზე ცქვლეფია მზომელას ცარიელი ჭუპრების (პეპელა გამოფრენილი იყო) რაოდენობა საშუალოდ ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენდა 0,4-0,8 ინდივიდს, ხოლო ზამთრის მზომელას ჭუპრების დასახლების სიმჭიდროვე მერყეობდა 0,3 ინდივიდამდე. ახალ-

როვე საშუალოდ ერთ ბუჩქზე 20-25 ინდივიდს შეადგენდა. მავნებლების განადგურების მიზნით სათანადო რეკომენდაციის საფუძველზე ნამლობა 2-ჯერ ჩატარდა. მარშრუტული გამოკვლევების საფუძველზე მაისის თვეში, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს, ჭაფჩავაძის, ვაჟა-ფშაველას პროსპექტების მიმდებარედ და აეროპორტის მიმართულებით კახეთის გზატკეცილის ორივე მხარეს გაშენებული ჭადრების ნარგაობაზე გამოვლინდა ჭადრის ბაღლინჯო – *Corythucha ciliate* Soy., რომელიც დედაქალაქის პირობებში იძლევა ორ თაობას. გამოკვლევებით დადგინდა, რომ მავნებლის პირველი თაობის ნიმუშების დასახლების სიმჭიდროვე ძლიერი გავრცელების კერებში საშუალოდ ერთ ფოთოლზე შეადგენდა 3-4 ინდივიდს, ხოლო მეორე თაობის ნიმუშების დასახლების სიმჭიდროვე აგვისტოს დასაწყისში იყო 1,2-1,4 ინდივიდი. მავნებლის ორივე თაობის ნიმუშების და მოზამთრე იმაგოების წინააღმდეგ ჩატარდა ბრძოლის ღონისძიება რეკომენდაციის საფუძველზე.

დილმის ტყე-პარკისა და მუხიანის (მე-4-ე მიკრორაიონი) ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მონიტორინგისას მუხებზე მცირე რაოდენობით გამოვლინდა მუხის ერთფეროვანი ჩრჩილის – *Tischeria complanella* Hb., პირველი და მეორე თაობის სხვადასხვა ხნოვანების მატლები, რომლებიც იჭრებიან ფოთლის ზედა ეპიდერმისის ქვეშ და აზიანებენ პარენქიმას. მიუხედავად მავნებლის წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებისა, არ არის გამორიცხული მისი გავრცელების

არეალი გაფართოვდეს. მუხიანის ტერიტორიაზე გაშენებული მუხებზე გარდა ზემოთ ხსენებული მავნებლისა ნიადაგში მცხოვრები მავნებლებიდან, მცენარეთა ფესვის ყელის სიახლოვეს გამოვლინდა ამიერკავკასიის მარმარა ღრატას – *Polyphylla olivieri* Cast., და მავთულა და ცრუმავთულა ჭიების (*Elateridae*-ს და *Tenebrionidae*-ს ოჯახიდან) სხვადასხვა ხნოვანების მატლები, რომელთა წინააღმდეგ რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარდა ბრძოლის ღონისძიება გრანულირებული ინსექტიციდის გამოყენებით. ჩატარებული ღონისძიების შედეგად სრულად იქნა ლოკალიზებული მავნებლის გავრცელების კერები.

ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, სადაც გაშენებულია თუთები, ივლისის ბოლოს გამოვლინდა თუთის მცირე ალურა – *Glyphodes pyleoalis* Walker., რომელიც მონოფაგია და აზიანებს მხოლოდ თუთის ფოთლებსა და ახალგაზრდა ნაზარდებს. თბილისის პირობებში იგი იძლევა ერთ თაობას. მავნებლის მატლების წინააღმდეგ სათანადო რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარდა წამლობა სისტემური მოქმედების ინსექტიციდის გამოყენებით და განადგურებული იქნა მატლების 85%-ზე მეტი.

ფიტოსანიტარული მონიტორინგის შედეგად 5 ძირ იფანზე და 3 ძირ კუნელზე იფნისის თვეში ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა, პოლიტოკოვსკაიას ქუჩის მიმდებარედ მავთიკომის ოფისის მოპირდაპირე მხარეს და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ეზოში, ტირიფის ყარყუმისებრი ჩრჩილი – *Hyponomeuta rirella* Hb., რომლის მატლები ხარბად იკვებებიან იფანისა და კუნელის ფოთლებით და სრულიად აშიშვლებენ მცენარეს, რასაც შეიძლება შედეგად მოყვეს მცენარის ხმობა. ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარებული წამლობის შედეგად ლოკალიზებული იქნა მავნებლის გავრცელების კერები.



ქალაქისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე, სადაც სანგარიშო პერიოდში სრულად ვერ მოხერხდა ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩატარება, შეიძლება ადგილი ჰქონდეს საინფექციო საწყისის ანუ ინოკულუმის დაგროვებას, შესაბამისად – ვეგეტაციის პერიოდში დაავადებების განახლებას. არ გამოვრიცხავთ ასევე მავნე მწერების ინტენსიურ გამრავლებას და გავრცელებას არეალის გაფართოებას, მათი განვითარებისათვის საჭირო ხელსაყრელი ვარემო კლიმატური პირობების (თბილი ზამთარი) შემთხვევაში.

ი.ფალავანდიშვილი, ნ. ლოშიძე, ზ. ძანთარია, შ. ხანჩაველი, ლ. რაზვიანი, კ. კიკორია

კოოპერატივი „ჩაი სურნელი“

ოგლად დარჩენილი ეკალ-ბარდებით დაფარული მწვანე ოქრო შველას ითხოვს

20 წელზე მეტია იმალება გუჩქაგუნი და ელოდება გზოგაღს. მისი მეორე საგზოგალო საძარტველოა. მცენარე, რომელსაც ბერძნული ძალღმერთის სახელი TEA შეარქვეს და რომლის პროდუქციას მსოფლიო ოქროს ფხვნილს უწოდებენ, ხოლო პლანტაციას – ოქროს მღელოს, ჩვენთან ეკალ-ბარდებში იმალება და შველას ითხოვს.



ჩაის კულტურის გავრცელება შესაძლებელია მსოფლიოს მხოლოდ განსაზღვრულ ზონებში, ამიტომ ქვეყანაში, სადაც მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებია, ამ საქმეს დიდი მონდომებით ეკიდებიან. ჩაის ტექნოლოგიის, როგორც მეცნიერების საკითხი, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

მიუხედავად იმისა, რომ 20 წელზე მეტია ნადგურდება პლანტაციები, ჩვენთან დღეს მაინც ინარჩუნებს სიცოცხლის უნარს, რაც ქართველი მეცნიერების, სელექციონერების მრავალსაუკუნოვანი დაუღალავი შრომის შედეგია. მათ გამოიყვანეს ქართული ჩაის საუკეთესო ყინვაგამძლე ჯიშები: ინდურ-ჩინური და ჩინურ-ინდური. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ჩაის ნედლეული საუკეთესოა მსოფლიოში უმაღლესი ხარისხის მწვანე ჩაის პროდუქციის მისაღებად. საზღვარგარეთ ჩაის პლანტაციას იმისათვის ჩრდილავენ, რომ საუკეთესო ხარისხის მწვანე ჩაი მიიღონ. ჩვენთან ეს ბუ-



ნებრივად. დასანანია, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერ ვიყენებთ იმ საგანძურს, იმ სიმდიდრეს, რაც ბუნებამ მოგვცა.

დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურას არა მარტო იმიტომ უნდა მიექცეს ყურადღება, რომ იგი ძვირადღირებული პროდუქტია და საგრძნობლად ზრდის ნაციონალურ შემოსავალს და ამასთან რენტაბელურია, არამედ იმიტომაც, რომ დასავლეთ საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდები წლებია მასიურად გადადიან თურქეთში ჩაის პლანტაციის სახსლავად და საკრეფად. დღეს მათი დიდი უმრავლესობის სურვილია იმუშაონ ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენც ამის საფუძველზე შევექმნით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ჩაი სურნელი“. ჩვენი მიზანია წალენჯიხის რაიონის ყველა სოფელი, სადაც კერძო მფლობელობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ჩაის პლანტაციები, ჩავრთოთ ჩვენს კოოპერატივში, საგრძნობლად გავზარდოთ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, რომ აღვადგინოთ ჩაის ხელით კრეფის კულტურა და გამოვუშვათ საუკეთესო ხარისხის ქართული ჩაი, რომელიც კონკურენციას გაუწევს საქართველოში შემოტანილ ნებისმიერ საზღვარგარეთულ ჩაის პროდუქციას და თამამად გავა ექსპორტზე.

მაგრამ ეს პროექტი ადვილი განსახორციელებელი არ იქნება, თუ თანადგომა არ გვექნა საქართველოს მთავრობისგან. დღეს ჩვენ გვჭირდება როგორც მატერიალური, ისე მორალური თანადგომა, რომ დავარწმუნოთ ქვეყნიდან გაქცეული ახალგაზრდები დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებს, შექმნან სიმდიდრე თავიანთ სოფელში და შეინარჩუნონ ტრადიციული ქართული ოჯახები.

კოოპერატივ „ჩაი სურნელის“ კოლექტივს გვინდა ვიყოთ ინიციატორი და სურვილი გვაქვს მივიღეთ წალენჯიხის რაიონის სოფლებში მცხოვრებ იმ მოსახლეობასთან, ვისაც შეხება აქვს განადგურებას გადარჩენილ ჩაის ბუჩქებთან, რომ ისიც ჩავრთოთ ჩაის კულტურის აღორძინების საქმეში. ამასთან, გვინდა დავაინტერესოთ და შევასწავლოთ, თუ როგორ მზადდება ოჯახურ პირობებში ოჯახისთვის საჭირო ეკოლოგიურად სუფთა ჩაის პროდუქტია, ისეთი, როგორიც მზადდება საზღვარგარეთის ჩაის მწარმოებელი ქვეყნების ოჯახებში.

დღეს მთავარია ჩვენს ახალგაზრდებს ჩვენს მიწათან ერთად შევაცვაროთ ჩაის კულტურა. ეს ისეთი მცე-

ნარეა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ასაქმებს ხალხს. 1 ტონა ხარისხოვანი ჩაის პროდუქციის მიღება 5-7 ადამიანს ასაქმებს მთელი წლის განმავლობაში.

იაპონიაში 1 მილიონზე მეტი ჩაის მწარმოებელია. თითოეული 1000 კვმ ფართობზე ანარმოებს ჩაის პროდუქციას, საბოლოო დამუშავებისთვის მიაქვს ფაბრიკაში და გააქვს ექსპორტზე.

გასულ წელს კოოპერატივ „ჩაი სურნელის“ კოლექტივმა თანხის უქონლობის გამო გვიან დაიწყო მუშაობა და გადაამუშავა 0,5 ტონა ჩაის ხარისხოვანი პროდუქტია, რაც ადგილზე დაფასოვდა და სარეალიზაციოდ გაიგზავნა თბილისქალაქობაზე და სუპერმარკეტ „გუდვილში“ გამოფენა-გაყიდვაზე, რომელმაც მომხმარებელთა დიდი მონონება დაიმსახურა, მაგრამ მაინც გვაქვს პრობლემები: სუპერმარკეტებში ჩაის შეტანაზე უარს გვეუბნებიან იმის გამო, რომ არა ვართ დღგ-ს გადამხდლები, ხოლო საზღვარგარეთ მცირე რაოდენობის პროდუქტია ვერ გადის. ჩაის პოპულარიზაციისათვის მთავარია და ჩვენი დიდი სურვილია ჩვენი ქართული პროდუქტია ჯერ ქართველებმა გასინჯონ. კარგი იქნება, თუ კოოპერატივებისთვის კოოპერირებული მალაზიები შეიქმნება.

მიმდინარე წელს კოოპერატივმა „ჩაი სურნელმა“ ნორმალური ფუნქციონირება რომ დაიწყო, ადრე გაზაფხულიდან უნდა გატარდეს მთელი რიგი საგაზაფხულო ღონისძიებები. კერძოდ, ჩაის ბუჩქის განთავისუფლება ეკალ-ბარდებისაგან, მძიმე და შპალერული გასხვლა-შემოკავება, გადარგვა და ორგანული სასუქების შეტანა.

კონკურენტუნარიანი პროდუქტია რომ მივიღოთ, გვჭირდება ახალი თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარები: 30-50 კგ როლერები, საშრობი დოლი და დამაფასოებელი დანადგარი.

ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად კოოპერატივ „ჩაი სურნელის“ კოლექტივი თქვენი ყურნალის დახმარებით ვთხოვთ მთავრობას, პრეზიდენტს, პარლამენტს და საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციებს მხარი დაგვიჭირონ და დაგვეხმარონ როგორც მატერიალურად, ისე მორალურად, რომ გადავარჩინოთ განადგურების პირას მისული ჩაის კულტურა და დავუბრუნოთ სოფლის ახალგაზრდებს სოფელში ცხოვრების პერსპექტივები, რომ შევექმნათ ძლიერი სოფელი.

ნარბიზ ღვინჯილია,
კოოპერატივ „ჩაი სურნელის“
გამგეობის თავჯდომარე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის საქმიანობის ანგარიში

2015 წლის 27 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიის წევრები – აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, აკადემიის ეროვნული კოორდინატორები, აპარატის თანამშრომლები და მონვეული სტუმრები: ზურაბ ტყემალაძე – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე; გიგლა აგულაშვილი – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; გიორგი თოფაძე – საქართველოს პარლამენტის ფრაქციის „ქართული ოცნება – მრევლელები“ თავმჯდომარე; პროფ. თამაზ მარსაგიშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, იური ნოზაძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და მინისტრის თანამშემწეები – აკად. თამაზ კუნჭულია, ომარ კაჭარავა, შოთა კიკალიშვილი; დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, თინათინ ბოჭორიშვილი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, იოსებ აბულაძე – აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; პროფ. ლევან კლიმიაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. გიორგი სალუქვაძე – სტუ-ს აკადემიური საბჭოს სწავლული მდივანი, პროფ. გიგა ქვარცხავა – სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. როლანდ კოპალიანი – ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. ვალერი სუხიშვილი – სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ბაკურ გულუა – საქართველოს საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის განყოფილების წარმომადგენელი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილეები პროფ. ბიძინა კორახაშვილი და პროფ. გივი ბასილაძე, შოთა მაჭარაშვილი – ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქტორი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა სტუმრები.



აკადემიის საერთო კრების პრეზიდიუმი – მარჯვნიდან: ზ. ტყემალაძე, გ. აგულაშვილი, გ. ალექსიძე, ი. ნოზაძე, ლ. კლიმიაშვილი, გ. თოფაძე.

მოსხენებით „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ“ – გამოვიდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

მომხსენებელმა პირველ რიგში აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 2014 წლის 17 სექტემბერს პრალის (ჩეხეთი) ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მე-8 ასამბლეაზე აირჩიეს ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის წევრად, რაც აკადემიის საერთაშორისო აღიარება და დიდი წარმატებაა. აღინიშნა აკადემიის სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხები, სამუშაო გეგმით ჩატარებული საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებები, მათ შორის ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. განხილული იქნა აკადემიაში ჩატარებული სემინარები და მრგვალი მაგიდები, თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო და სამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიის დარგობრივი კოორდინატორების მუშაობა, აკადემიის მიერ ჩატარებული გამსვლელი კონფერენციები, აკადემიის საგამომცემლო საქმიანობა. აღინიშნა, რომ საანგარიშო წელს აკადემიის წევრების მიერ გამოქვეყნებულია 198 სამეცნიერო შრომა, გამოცემულია 3 სახელმძღვანელო, 13 მონოგრაფია, მიღებულია 4 პატენტი გამოგონებაზე და მომზადებულია 7 რეკომენდაცია. საანგარიშო პერიოდში გაფორმებული იქნა თანამშრომლობის მემორანდუმები

კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტთან, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტთან და სხვა. აკადემია აქტიურად მონაწილეობდა საკანონმდებლო საქმიანობაში, ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები საქართველოს პარლამენტთან და სამინისტროებთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; გარკვეული წარმატებული სამუშაოები იქნა ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კუთხით, რისთვისაც აკადემიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური კომისია; მომხსენებლის მიერ გაანალიზებული იყო სამომავლო პერსპექტივები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას აკადემიის შემდგომ მუშაობაში.

საერთო კრების მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის საქმიანობა შეაფასეს დადებითად.

საერთო კრებაზე აგრარულ სფეროში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერებს:

აგრარულ დარგში – აკად. გურამ ალექსიძეს;

აგროსაინჟინრო დარგში – აკად. ჯემალ კაციტაძეს;

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამამუშავების დარგში – პროფ. ნანა ბიბიაშვილს;

ეკონომიკის დარგში – აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პაატა ქოლუაშვილს დიპლომები გადაეცათ.

იღბოვანი შაფაძის,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ისრაელის სოფლის მეურნეობა – თვალსაჩინო მაგალითი საქართველოსათვის

პარაღმსი – ისრაელში სარწყავი წყლის დოზირებითა, მაგრამ ყვილა მცენარე ირწყვება, ჩვენთან კი ძველანა წყალს მიაქვს, მაგრამ მცენარეები უწყლოვით ხმება



შესაბამისად უდაბნოში, ქვიშაში ისრაელი ახერხებს ანარმოს რეკორდული, მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტი. ყოველივე აღნიშნული მიიღწევა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, ენერგო და წყალდამზოგავი სისტემებით და შრომის მაღალი ორგანიზაციით.

ცალკე თემაა ე.წ. „კიბუცების“ მეურნეობების გამოცდილება. ეს არის საკმაოდ რთული ფენომენი, რომლის ანალოგი არ მეგულება მსოფლიოში. პრაქტიკულად ხანგრძლივი ისტორიის და შრომის ორგანიზაციის პირობებში ისრაელის მოქალაქეების ჯგუფებმა ლოკალურ ტერიტორიებზე შექმნეს „კომუნის“ მოძღვრების არნახული მაგალითი.

რა გამოცდილება შეიძლება გაითვალისწინონ საქართველომ და კონკრეტულმა ფერმერებმა ისრაელის მაგალითზე? ძნელი სათქმელია, რომ საქართველოში „კოლმეურნეობების“ შემდეგ მოხერხდეს „კიბუცების“ ანალოგიური მეურნეობების შექმნა, მაგრამ მიწების გამსხვილების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება, ეს აქსიომაა. ასევე გასათვალისწინებელია წვეთოვანი მორწყვის და მცენარეთა გამოკვების თანამედროვე სისტემების დანერგვა. რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, მთელი ისრაელის ტერიტორია დაქსელილია წვეთოვანი სისტემით, თითოეული მცენარე ირწყვება და იკვებება წვეთოვანი სისტემით.

მოკლედ ჩამოვთვლი წვეთოვანი სისტემის უპირატესობებს სოფლის მეურნეობაში და გამწვანებაში. წვეთოვანი რწყვის სისტემა ისრაელში დანერგულია გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან და ათეული წლებია განიცდის სრულყოფას. ებრაელ ინჟინერ სიმხა ბლასის მიერ დადგენილი იქნა, რომ მცენარეები გაცილებით კარგად იზრდება და მაღალ მოსავალს იძლევა, თუ მათ ფესვთა სისტემას დოზირებულად მიეწოდება წყალი. მცენარის ფესვთა სისტემისათვის დანიშნული მისამართით წყლის მიწოდებამ შემდგომში შესაძლებელი გახადა რწყვის სისტემაში

შურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ წლევანდელი თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა კახაბერ ხუციშვილთან ინტერვიუ – „გლეხის მომავალი თანამედროვე საზოგადოებაში“. ვფიქრობ, საკითხი დროულადაა დასმული და მთლიანად ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში აგრობიზნესის განვითარების აუცილებელი სამი პირობაა: მიწის ფართობების გამსხვილება; იაფი და ხანგრძლივი კრედიტების ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც სერიოზულ ბიძგს მისცემს როგორც აგრარული დარგების, ისე მთლიანად ქვეყნის განვითარებას.

ამის ერთ-ერთ მაგალითად გთავაზობთ ისრაელის სოფლის მეურნეობის მიღწევებს, სადაც წლეულს, 20-25 იანვარს საქართველოს ფერმერთა ჯგუფთან ერთად მიზნობრივი პროგრამით ვიმყოფებოდი. პროექტი COPERN-ის ფონდმა დააფინანსა, ხოლო ორგანიზაციული მხარდაჭერა საქართველოში ისრაელის საელჩომ (MASHAV-ის პროგრამა), განახორციელა. პროექტი მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსალტგრუპმა“, რომელიც მონოდებულია საქართველოში სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობისათვის. პროგრამა მოიცავდა ისრაელში მაღალ დონეზე განვითარებული სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს – მემცენარე-

ობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა, საენერგო და სასათბურე მეურნეობები და საკვებწარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ისეთ რეგიონში და კლიმატურ პირობებში, როგორც ისრაელია, მსოფლიო მასშტაბით რეკორდული და მაღალი ხარისხის მოსავალი იწარმოება. ეს ეხება ყველა დარგს. მაგალითისათვის: ძროხების საშუალო წველადობა (დღეში სამჯერადი) 50 ლიტრას აღემატება, ხოლო რეკორდული 72 ლიტრია, კარტოფილის მოსავლიანობა – 60-70 ტ/ჰა, ხილი და ციტრუსი – 70-80 ტ/ჰა. ასეთივე მაღალი მაჩვენებლებია სხვა კულტურების მიხედვით. კიდევ ერთი შთამბეჭდავი ციფრი – ისრაელი არა მარტო აკმაყოფილებს თავისი ქვეყნის მოსახლეობას, არამედ დედამიწის მოსახლეობის 2%-ზე მეტი იკვებება ამ ქვეყნის მიერ წარმოებული ს/ს პროდუქტით.

საინტერესოა, თუ რა ბუნებრივი და კლიმატურ-ნიადგობრივი რესურსი გააჩნია ისრაელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. პრაქტიკულად პირობები არახელსაყრელია – ნოყიერი და ჰუმუსის შემცველი ნიადაგი არ არსებობს, არის წყლის დეფიციტი (ნალექების წლიური საშუალო ნორმა არ აღემატება 22 მმ-ს, საერთო ფართობის – 20-ათას კვ.კმ.). მხოლოდ 20%-მდე გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

მცენარეს მიწოდებოდა საკვები ელემენტები (სასუქი). ასე შეიქმნა რწყვისა და სასუქის მიწოდების ერთიანი პროგრამირებული ინფრასტრუქტურა.

რწყვის წვეთოვანი სისტემის ძირითადი უპირატესობები:

- მოსავლიანობის ამაღლება 2-3 ჯერ;
- სასაქონლო პროდუქციის ხარისხობრივი ამაღლება 90%-მდე;
- წყლის და სასუქების ეკონომია 50-60%-ით;
- შრომითი და სანარმოო დანახარჯების შემცირება 300-400 %-ით;
- რთული რელიეფის და ფერდობის პირობებში – წვეთოვანი რწყვის სისტემა საშუალებას იძლევა თანაბრად მიეწოდოს წყალი საკვებ ელემენტებთან ერთად ყველა მცენარეს;
- ნიადაგებში, რომლებიც მიდრეკილია დამლაშებისაკენ – წვეთოვანი მორწყვით მიიღწევა (გარკვეული დოზით) მცენარის ფესვთა სისტემის ზონიდან მარილების განდევნა;
- გრუნტის წყლების დაბინძურებისაგან დაცვა;
- წყლის ხარჯების ზუსტი რეგულაცია კულტურის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, წყლის ხარჯის შემცირება 20-80%-ით;
- წვეთოვანი რწყვის პირობებში არ ხდება მცენარის ვეგეტატიური ორგანოების ხშირი დასველება, რაც საგრძნობლად ამცირებს მცენარეთა დაავადებებს, იცავს მზის მიერ დამწვრობისაგან და უზრუნველყოფს მაღალ და ხარისხიან მოსავალს.



● წვეთოვანი რწყვის სისტემა საშუალებას იძლევა წყლის მცირე დებეტით (ერთჯერადად მცირე რაოდენობის წყლის რესურსით) უზრუნველყოს რწყვა მთელი ვეგეტაციის განმავლობაში.

ახალი და კრეატიული ტექნოლოგიების საყოველთაო დანერგვამ ისრაელის სოფლის მეურნეობა აიყვანა იმ სიმაღლეზე, რომ სადღეისოდ იგი კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე უმსხვილეს მოთამაშეებს. ისრაელის ინოვაციური ტექნოლოგიები საშუალებას აძლევენ აგრობიზნესში დასაქმებულ კომპანიებს გავიდნენ სრულიად ახალ ტექნოლოგიურ დონეზე, რაც საშუალებას იძლევა გაზარდონ ეფექტურობა და შემოსავლები.

ჩვენი სურვილია საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმატებით დაინერგოს ისრაელის გამოცდილება. ჩვენს

მიერ მიღწეულია შეთანხმება ისრაელის მხარესთან თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ. უახლოეს პერიოდში ისრაელის მხრიდან საქართველოში ვიზიტს გეგმავენ ცნობილი კომპანიების წარმომადგენლები. ჩვენი მხრიდან უზრუნველყოფთ საქართველოში აგრობიზნეს კომპანიებთან შეხვედრის ორგანიზებას. ვიმედოვნებთ, რომ მიღწეული იქნება კონკრეტული შეთანხმებები.

ძრისტო კახნიაშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, შპს „აგროვიტას“
ინოვაციური პროექტების მენეჯერი;

ქონსტანტინე კეკელიაშვილი,
არასამთავრობო ორგანიზაცია
„კონსალტგრუპის“ გამგეობის
თავმჯდომარე.

მესაქონლეობა

რძის წარმოების განვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფერმერულ მეურნეობებში

მეცხოველეობა საპარტიველოში უსსოვარი დროიდან სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს. მეცხოველეობის დარგებიდან ფართოდ არის განვითარებული მსხვილფეხა რძოსანი მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა. მსხვილფეხა რძოსანი მესაქონლეობის სახალხო-მეურნეო მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. მას განსაკუთრებით დიდი როლი ეპისრება მოსახლეობის კვირფასი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის რძე და რძის პროდუქტები. როგორც ცნობილია, რძე და რძის პროდუქტები ალამინის კვებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დიეტური და შეუცვლელი საკვებია.



გაეროს სურსათის, სოფლის მეურნეობისა (FAO) და ჯანმრთელობის დაცვის (WHO) ორგანიზაციების მიერ დადგენილია, რომ ადამიანმა წელიწადში უნდა მოიხმაროს 350 კგ რძე, რძის პროდუქტებზე გადაანგარიშებით.

მოსახლეობის რძითა და მისი პროდუქტებით მომარაგების საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად ფერმერულ

მეურნეობებში რძის წარმოების განვითარების ხელშეწყობას. ამ მიმართებით მეტად მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში მერძეული მესაქონლეობის განვითარების მდგომარეობის შესწავლა, რომლისთვისაც ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა კვლევის სტატისტიკური, შედარებითი, საანალიზო და სხვა მეთოდები.



დღეისათვის საქართველოში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფერმერული და საოჯახო მეურნეობები წარმოადგენენ ძირითად რგოლს რძის წარმოების საქმეში. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში რძის წარმოების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ 2009 წელს ქვეყანაში წარმოებული იქნა 551,4 ათასი ტონა, 2011 წელს შეადგინდა 582,7 ათას ტონას, ხოლო 2013 წელს 604,7 ათასი ტონას. შესაბამისად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2009 წელს 78,2 ათასი ტონა ანუ 14,25%, 2013 წელს კი 811 ათასი ტონა ანუ 13,4%. საქართველოში შესწავლილ პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა: კერძოდ 2009 წელს მან შეადგინა 1014,7 ათასი სული, 2013 წელს კი 1229 ათასი სული ანუ გაიზარდა 13,8%. რაც შეეხება ფურების სულადობას ამავე პერიოდში გაიზარდა 597,1 ათასი სულიდან 641,1 ათას სულამდე ანუ 8,4%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში 56 ათასი სულიდან 79,0 ათასამდე ანუ 41,1%. იმავე პერიოდში ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება ფურისა და ფურ-კამეჩის საშუალო წლიური წველადობა, რომელმაც 2009 წელს შეადგინა 1 263 კგ. ხოლო 2013 წელს 1302 კგ. ანუ გაიზარდა 3,1%-ით. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს აქ ფურის საშუალო წლიური წველადობა საქართველოს ყველა რეგიონთან შედარებით მაღალია და მან 2009 წელს შეადგინა 1639 კგ, ხოლო 2013 წელს, სამწუხაროდ, 1315 კგ. ანუ შემცირდა 19.0%, რაც მეტად არასასურველი მაჩვენებელია.

ყოველ 100 ფურზე 2009 წელს საქართველოში საშუალოდ მიღებული და გამოზრდილია 91 – ხბო, 2011 წელს – 89 ხბო, ხოლო 2013 წელს კი 91 ხბო. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფერმერულ მეურნეობებს 2009 წელს ყოველ 100 ფურზე მიღებული და გამოზრდილია 96 ხბო, ხოლო 2013 წელს 97 ხბო. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მერძეული მესაქონლეობის განვითარების კუთხით საქართველოს პირობებში წამყვანი რეგიონია და მას რძის წარმოების კუთხით დიდი სანარმოო პოტენციალი გააჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2013 წელს ერთ ფურზე საშუალოდ წლიური წველადობის შემცირებას, რომელიც მთელი რიგი პრობლემით იქნა გამოწვეული.

რძის წარმოების განვითარებას ჯავახეთის რეგიონში განლაგებულ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში მნიშვნელოვნად განაპირობებს რძის თვითღირებულება, რომელიც ცვალებადია.

ფერმერულ მეურნეობებში ჩატარებული დაკვირვებით დადგინდა, რომ ზამთრის პერიოდში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთი ლიტრი რძის თვითღირებულება საშუალოდ შეადგენს 43, 5 თეთრს, ხოლო ზაფხულის პერიოდში 23,8 თეთრს. ანალოგიურად მერყეობს სეზონის მიხედვით რძის სარეალიზაციო ფასიც. ზაფხულის პერიოდში იგი შეადგენს 70-80 თეთრს, ხოლო ზამთრის პერიოდში 1.0-1.10 ლარს. რძის შედარებით მაღალ თვითღირებულებას განაპირობებს ის გარემოება, რომ რეგიონში არსებული ფერმერული და საოჯახო მეურნეობები მცირემიწიანია, რაც არ იძლევა ფერმერულ მეურნეობებში მერძეული მესაქონლეობის საკუთარი საკვები ბაზის ფორმირების საშუალებას, რის გამოც ფერმერებს განსაკუთრებით ზამთრის პირობებში პირუტყვის შენახვა უხდებიათ შეძენილი საკვებით, რომელიც მაღალი ღირებულებით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ეხება საფურაჟე მარცვლეულის (სიმინდი, ქერი, შვრია, ხორბალი და ა. შ.) და კომბინირებულ საკვებს, რომელსაც მერძეული პირუტყვის ყოველდღიურ საკვებ ულუფაში 25-35% უკავია. ჯავახეთის რეგიონში რძის წარმოების თვითღირებულება საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია, რაც განპირობებულია იმით, რომ ფერმერები ზაფხულის პერიოდში დაკავებულნი არიან ამ რეგიონში განლაგებულ სუბალპურ მდელოებზე თივის დამზადებით და საკუთარი ფერმების მომარაგებით. ზამთრის პირობებში ამ რეგიონში 1 ფურზე საშუალოდ იხარჯება 2,5-3 ტონა თივა, რომლის თვითღირებულება 250-300 ლარი ანუ ერთი კილოგრამი თივის თვითღირებულება 10-თეთრია.

სამცხე-ჯავახეთის ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში რძის წარმოების განვითარებას აფერხებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა, რომელიც განპირობებულია სანაშენე მუშაობის დაბალი დონით და ფერმერების მხრიდან სანაშენე მუშაობის არცოდნით. საკვლევი რეგიონის ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში ექსტერიერული განაზომების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ ჯიშურ სტანდარტებს (შვიცი, კავკასიური წაბლა) რამდენადმე ჩამორჩებიან. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია ფერმერულ მეურნეობებში სანაშენე მოზარდის გამოზრდის თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვა. ამასთან ერთად აუცილებელია პარალელურად რეგიონში განლაგებულ მუნიციპალიტეტებში პერიოდულად სანაშენე საქმის საკითხებზე ფერმერებს ჩაუტარდეთ ტრენინგ-სემინარი.

მერძეული მესაქონლეობის განვითარების საქმეში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დიდი მნიშვნელობა აქვს მერძეული ფერმის სიდიდეს და პირუტყვის შენახვის პირობებს. ჩვენს მიერ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ჯერჯერობით პირუტყვის სადგომები პრიმიტიულია, ყოველგვარი მექანიზაციის გარეშე. მერძეულ ფერმათა 70-80 %-ში სამუშაოები (წველა, საკვების დარიგება, წყლის მიწოდება, ნაკელის გატანა) სრულდება ხელით. საოჯახო მეურნეობებში მეპატრონეებს 3-5 ფური ჰყავთ, ფერმერული მერძეული მეურნეობების სულადობა კი ძირითადად მერყეობს 15-25 ფურის ფარგლებში. სანყის ეტაპზე აუცილებელია ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დანერგვა, რაც შეამცირებს ხელით შრომას და გაზრდის მერძეულ ფერმებში დასაქმებულთა შრომისსაყოფიერებას.

მერძეული მესაქონლეობის განვითარების საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სრულფასოვანმა კვებამ. ამ მიზნით სწორედ კანონმა სასოფლო-სამეურნეო „კოოპერაციის შესახებ“ დასაბამი უნდა მისცეს ჯავახეთის რეგიონში სოფლად საკვების დამამზადებელი კოოპერატივების შექმნას, რადგან დღეისათვის მცირე ფერ-

მერებს საოჯახო მეურნეობის პირობებში უჭირთ კომბინირებული საკვების დამზადება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის მეცხოველეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მასპროფილებელ დარგს. ამ რეგიონში განლაგებულ მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტების ფორმირებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მეცხოველეობის სფეროში დასაქმებულ ფერმერთა ინტერესები. კერძოდ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას „მერძეული მესაქონლეობის განვითარების სტიმულირების ფონდი“. აღნიშნული ფონდის საშუალებით მიზანშეწონილია მეცხოველეობაში დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდეს ტრენინგ-სემინარები თანამედროვე ტექნოლოგიათა ათვისების მიზნით.

წარმოებული რძის თვითღირებულების შემცირებას დიდად შეუწყობს ხელს იაფი საძოვრული საკვებწარმოება. ამ მიზნით აუცილებელია სასოფლო-სათემო საკუთრებაში არსებული საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება. რეგიონში შემავალმა მუნიციპალიტეტებმა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გარკვეული თანხების მობილიზება უნდა განახორციელონ ამ კუთხით.

ფერმერულ მეურნეობებში პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით აუცილებელია ვეტერინარული ღონისძიებების დროული ჩატარება, რომელსაც ხშირად სათანადო თანხების უქონლობის გამო ფერმერები ვერ ახორციელებენ. სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის სამსახური სახელმწიფო პროგრამებს აფინანსებს მხოლოდ ოთხი დაავადებისთვის. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რეგიონში არსებულმა მუნიციპალიტეტებმა საჭიროა განახორციელონ მუნიციპალური ვეტერინარული პროგრამების ფორმირება, სადაც თავს მოიყრის ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების 2,5-7%. თითოეული მუნიციპალიტეტის ვეტერინარული პროგრამებით დაფინანსდება ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული საშიში დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა. 2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის შეთანხმებას ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის პირველი სექტემბრიდან. ყოველივე ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიზას. პროდუქცია აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ევროსტანდარტის მოთხოვნებს. ამ კუთხით საქართველოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტმა გაამკაცრა მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უვნებლობაზე, განსაკუთრებით რძესა და რძის პროდუქტებზე, რომელიც ასევე შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განლაგებულ მერძეულ ფერმებს. თითოეულ მერძეულ ფერმაში პროდუქციის მიღების (რძე) შენახვის და გადამუშავების პირობები უნდა პასუხობდეს უვნებლობის სტანდარტების მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ობიექტებს შეუჩერდებათ ფუნქციონირების უფლება.

თინათინ ლაყბაიანი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მთავარი სპეციალისტი;

მეზა ზეიკიძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ე. თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მანანა ცინცაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

გიორგი ნატროშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი. ნ. გრძელიშვილი და სხვები. რეგიონალური ეკონომიკა. თბილისი 2011 წ.
2. პ. კოლუაშვილი, ნ. ხასაია. აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების ობიექტური აუცილებლობა. სსაუ. სამეცნიერო შრომათა კრებული. 2009 წ. ტ. 2 №2(47) გვ 94-97.
3. შ. კვეზერელი. მესაქონლეობის განვითარების პრობლემები სამცხე-ჯავახეთში. სსაუ. სამეცნიერო შრომათა კრებული. 2010 წ. ტ 3. № 21 (50) გვ 99-103.
4. ა. ურდულაშვილი. საქართველოს მეცხვარეობა. თბილისი 2010 წ.
5. WWW. statistic. ge

SUMMARY

DEVELOPMENT OF THE MILK PRODUCTION IN FARMING FACILITIES OF SAMMTSKHE-JAVAKHETI REGION

T. LACHKEPIANI,
Academis Doctor of Economics, Leading Specialist of Agrarian Science and Bio-Systems Faculty under Georgian Technical University

V. ZEIKIDZE,
Academic Doctor of Economics, Associated Professor of E. Takaishvili Educational University,

M. Tsintsadze,
Academic Doctor of Agricultural Sciences, Full Professor of Agrarian Science and Bio-Systems Engeneerring Faculty.

G. Natroshvili,
Academic Doctor of Economics, Leading Specialist of the Ministry of Agriculture

In all regions of Georgia Live stock breeding in particular Cattle breeding have been more or less developed. In this scope Samtskhe – Javakheti area is distinguished as in this region livestock and cattle breeding are leading spheres of agriculture.

გერმანელმა მესწიარებმა კოლორადოს ხოჭოს საწინააღმდეგო ახალი საშუალება შექმნეს



პოტსდამის მცენარეთა მოლეკულური ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიო ტექნოლოგებმა მიაგნეს ახალ ეფექტიან ნივთიერებას, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაუზიანებლად ხუთ დღეში კოლორადოს ხოჭოს განადგურება შეუძლია.

ეს გახლავთ ახალი სახეობის კარტოფილი, რომლის ფოთლები რიბონუკლიმიტაჟას შეიცავს. ეს ნივთიერება თრგუნავს კოლორადოს ხოჭოს მაცოცხლებელ გენს და საბოლოო ჯამში (ხუთ დღეში) კლავს მავნებელს.

დღემდე მეცნიერებისთვის 200 000-ზე მეტი სახის გენომოდიფიცირებული კულტურაა ცნობილი, რომელთაც მათში არსებული ტოქსიკური ნივთიერებების მეშვეობით სხვადასხვა სახის მავნებლებისგან თავდაცვის უნარი შესწევთ, მაგრამ კოლორადოს ხოჭო ამ ტოქსინებზე არ რეაგირებს. გერმანელმა მეცნიერებმა მრავალი წლები შეაღიეს კარტოფილის ძირითადი მავნებლების საწინააღმდეგო მეთოდებისა და საშუალებების შექმნას და ბოლოს, რიბონუკლიმიტაჟის მოლეკულური თვისებების გამოყენებით, მიაგნეს კიდევ გამოსავალს:

ბიო ტექნოლოგიები განმარტავენ, რომ მცენარეთა დაცვის მოცემულ მეთოდს პესტიციდებთან და გენომოდიფიცირებულ ორგანიზმებთან შედარებით რამდენიმე გამოკვეთილი უპირატესობა აქვთ, რაც ბაქტერიული ტოქსინების გამომუშავებაში გამოიხატება.

ამასთან რიბონუკლიმიტაჟა ებრძვის მხოლოდ მავნებლებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაზიანების საფრთხეს.



ცხვრის ბრადზოტი

სს.ი.პ საპარტველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაზორატორიაში ტარდება ყველა სახის ცხვრისა და ფრინველის გაღამაღამი და არაგამაღამი დაავადებების დიაგნოსტიკა კლასიკური და თანამედროვე მეთოდებით. გვინდა ყურადღება შევაჩვიოთ ცხვრის ბრადზოტზე, რომელიც მიეწინააღმდეგება მათ დაავადებებს.

ცნობილია, რომ ბევრ დაავადებას ახასიათებს სეზონურობა. მათ შორისაა ცხვრის ბრადზოტიც.

განვიხილოთ დაავადება თავისი გამომწვევი მიზეზებით, კლინიკური და პათანატომიური ცვლილებებით, მისი პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ცხვრის ბრადზოტი არაკონტაგიოზური ინფექციური დაავადებაა, რომელიც ვლინდება ეპიზოოტიური აფეთქების სახით, განსაკუთრებით გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე (საზამთრო საძოვრებზე ყოფნის დროს). ამ პერიოდში ცხვარს გამხმარი ბალახის ძოვის დროს შეიძლება შეყვეს ნიადაგი, რომელშიც ხშირად არის აღმძვრელის სპორები. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს სანყურებელი გუბურები, რომლებიც არ არის გამდინარე და არ ინმინდება.

ბრადზოტით ძირითადად ავადდება კარგი შეხორცების ცხვარი. კერძოდ, მოზარდი ავადდება ბაგური შენახვის პირო-

ბებში და ზრდასრული – საძოვარზე. ავადდება სულადობის 35% და სიკვდილიანობამ შეიძლება მიაღწიოს 95%-ს. ბრადზოტის დროს ინკუბაციური პერიოდი საათობით განისაზღვრება და იშვიათად 1-2 დღემდე გრძელდება. ახასიათებს როგორც ელვისებური, ისე მწვავე მიმდინარეობა. „ბრადზოტი“ ნორვეგიული სიტყვაა და უცაბედ სიკვდილს ნიშნავს. ამას ადასტურებს ის, რომ ელვისებური ფორმის დროს შეიძლება მეპატრონემ დილით ფარეხში ან საღამოს საძოვარზე ნახოს რამდენიმე ცხვრის ლეში, რომლებსაც გარეგნულად დაავადების ნიშნები ადრე არ აღენიშნებოდა. მწვავე მიმდინარეობის დროს კი ცხოველს ემჩნევა სხეულის ტემპერატურის მომატება 41 გრადუსამდე, მადის დაკარგვა, სუნთქვის გახშირება, ტემპანია, კბილების კრაჭუნი, შეზღუდული მოძრაობა, ზოგჯერ აღენიშნება წრიული მოძრაობა, რაც გამოწვეულია ნერვული სისტემის დაზიანებით. ცხოველი კვდება 8-12 საათში.

პათანატომიური ცვლილებებიდან აღსანიშნავია ის, რომ ბრადზოტით მკვდარი ცხვრის ლეში სიკვდილიდან 3-4 საათის გასვლის შემდეგ ძლიერ გაბერილია, აქვს მყრალი სუნი, სწრაფად იხრნება. კანქვეშა ქსოვილი გაუღუნეთლია სეროზულ-ჰემორაგიული ინფილტრატით და შეიცავს აირის ბუშტუკებს. ხილული ლორწოვანი გარსები ციანოზურია, სისხლი შეუდედებელია. დიაფრაგმასა და პლევრაზე მრავლობითი ნერტილოვანი სისხლჩაქცევებია. მუცლისა და გულ-მკერდის ღრუებში სისხლნარევი ექსუდატია. ფილტვები შემუშუბულია, გულის პერანგი სავსეა სითხით, უფრო ღუნეა, ეპიკარდიუმსა და ენდოკარდიუმზე მრავლობითი ნერტილოვანი სისხლჩაქცევებია, ლვიძლი სისხლსავსეა, აღინიშნება ნეკროზული კერები. ორივე თირკმელი ჰიპერემიული, მოღუნებული და შემუშუბულია. მაჭიკის ლორწოვანი გარსზე აღინიშნება ანთებადი კერები და მრავლობითი ლაქოვანი სისხლჩაქცევები. მსხვილი ნაწლავების ლორწოვანი გარსი ცვლილებების გარეშეა. ბრადზოტზე დიაგნოზი ისმება კომპლექსური მეთოდით, სადაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეპიზოოტოლოგიური მონაცემები,

კლინიკური ნიშნები და პათანატომიური გაკვეთის შედეგები. ბრადზოტზე დიაგნოზის დასმის დროს აუცილებელია დიფერენცირება ისეთ დაავადებებთან, როგორიცაა: ჯიღები, პასტერელოზი, ანაერობული ენტეროტოქსემია, ემფიზემატოზური კარბუნკული (ემკარი), პიროპლაზმოზი და მონამელა.

ბრადზოტის ელვისებური ფორმის დროს მკურნალობა ვერ ესწრება და არც არის ეფექტური. იყენებენ სულფანილამიდურ პრეპარატებს, ბიომიცინს, სინტომიცინს. ბრადზოტის სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით დღეისათვის ფართოდ გამოიყენება კონცენტრირებული პოლივალენტური ვაქცინა ბრადზოტის, ინფექციური ენტეროტოქსემიის, ავთვისებიანი შეშუპების და ბატკნის ანაერობული დიზენტერიის საწინააღმდეგოდ. იმუნიტეტი ჩამოყალიბდება 12-14 დღეში და გრძელდება 6 თვეს. საქართველოში დანერგულია ცხვრის ერთდროული ვაქცინაცია ბრადზოტის, ინფექციური ენტეროტოქსემიის, ავთვისებიანი შეშუპების, ბრუცელოზის და ყვავილის საწინააღმდეგოდ (გ. ბედენაშვილი, ი. მიხაილოვა, ჯ. ბაბაკიშვილი, თ. გესლაიძე, მ. უვანია.)

ცხვრის ბრადზოტზე დიაგნოსტიკა ტარდება სისპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში. შემოსული ცხვრის ლემის ან პათოლოგიური მასალის გამოკვლევა ხდება ბაქტერიოლოგიური მეთოდებით, რაც გულისხმობს მასალის მიკროსკოპიას და ამ მასალიდან სუფთა კულტურის მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრადზოტის დიაგნოსტიკაში. ლაბორატორიის მონაცემებით ბოლო სამი წლის მანძილზე ბრადზოტზე გამოსაკვლევად შემოვიდა 35 პათოლოგიური მასალა, საიდანაც 15 აღმოჩნდა დადებითი, 2015 წლის იანვრის თვეში კი უკვე დაფიქსირდა ერთი დადებითი შემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ დიაგნოზის შედეგი დიდად არის დამოკიდებული მასალის აღების წესის დაცვაზე. გამოსაკვლევად მასალა, ცხვრის ლემი ან ცალკეული ორგანოები (ან ორგანოთა ნაწილები) აღებული უნდა იქნას ცხოველის სიკვდილიდან არაუგვიანეს 4 საათისა.




ბრადზოტის პროფილაქტიკისთვის აუცილებელია სპეციფიკური და ზოგადი ხასიათის ვეტერინარული და სანიტარულ-სამეურნეო ღონისძიებების გატარება. რადგანაც საქართველოში ცხვარი ძირითადად მთელი წლის განმავლობაში იმყოფება საძოვრული შენახვის პირობებში, ამიტომ ბრადზოტის საწინააღმდეგოდ იგი უნდა აიცრას ოქტომბერში 22 დღის ინტერვალით ორჯერ.

დაავადებული ცხვრების სადგომებს უტარდება დეზინფექცია. იკრძალება ავადმყოფი ცხვრის დაკვლა სახორცედ, რძის საკვებად ან რაიმე პროდუქტის დასამზადებლად გამოყენება. ლემის გაკვეთა ნებადართულია მხოლოდ სადიაგნოსტიკო მიზნით სპეციალურ ადგილზე. შეზღუდვა იხსნება ცხვრის ბრადზოტით სიკვდილის უკანასკნელი შემთხვევიდან 20 დღის შემდეგ.

ლალი კვიციანიშვილი,
ვეტერინარი ექიმი

ქაღაზი, კატები და მათი „საჩუქრები“

ჩვენი ოთხფეხა მეგობრები სითბოსა და სიხარულთან ერთად ზოგჯერ ისეთ დაავადებებსაც „გვჩუქნიან“, როგორიცაა: ემფიზემატოზი, ტოქსოპლაზმოზი, ტრიქოფიტიზი, ლეიშმანიოზი, ტოქსოპაროზი და სხვა.



ექინოკოკი გადამდები პარაზიტული დაავადება, რომელსაც ინვეს ექინოკოკის კვერცხი. მისი ზრდასრული ფორმა ბინადრობს ძაღლის ნაწლავებში, გამოიყოფა ფეკალურ მასასთან ერთად და აბინძურებს გარემოს. მისი კვერ-

ცხი დიდხანს ძლებს – ძაღლის ბენჯზე, საოჯახო ნივთებზე, წყალში, საკვებში, ხილზე, მწვანილზე და ა.შ. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი კვერცხიდან გამოსული პარაზიტი ამოითესება ლვიძლში, ფილტვში და სხვა. მისი განკურნება მხოლოდ ქირურგიული ჩარევით და ხშირად სიკვდილით მთავრდება.

ტოქსოპლაზმოზი განსაკუთრებით საშიში პარაზიტული დაავადებაა, რომლითაც ავადდებიან ადამიანები, ცხოველები და ფრინველები. დაავადების წყაროა როგორც დაავადებული, ასევე პარაზიტების მატარებელი ცხოველები; მაგ. კატა თვითონ არ ავადდება, მაგრამ წყაროა ადამიანების დასავადებლად.

ამიტომ საჭიროა მისი ფეკალური მათ-

სის კვარტალური გამოკვლევა. კატასთან კონტაქტი განსაკუთრებით საშიშია ორსული ქალბატონებისთვის. კატის საგების განმენდის შემდეგ ტოქსოპლაზმა ხვდება ადამიანის კუჭ-ნაწლავში, სადაც იწყებს განვითარებას. დაავადების წყაროა კატის ლოკვისას გამოყოფილი სითხე, თუ კანი იმ ადგილას დაზიანებული აღმოჩნდა. გამომწვევი ბუდობს თავის ტვინში, ჩონჩხის კუნთებში, საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.

ტრიქოფიტიზი სოკოვანი დაავადებაა, რომელიც ადამიანს ძაღლისა და კატისაგან გადაედება და აზიანებს სადა კანს, კანის თმიან მიდამოს, ფრჩხილებს. ბოლო დროს დაავადების შემთხვევებმა ძალიან იმატა, რაც ალბათ ცხოველებისადმი ადამიანების სიყვარულს უნდა დავაბრალოთ.

ლეიშმანიოზის დაავადების წყაროა დაინვაზირებული, დაწყულელებული



კანით დაავადებული ძაღლი. დაავადება ადამიანზე გადადის ძაღლიდან მწერების საშუალებით და ინვექს მძიმე პროცესებს, რომელიც ხშირად

ლეტალურად (სიკვდილით) მთავრდება.

ტოქსოკაროზი საშიშია ადამიანისთვის, განსაკუთრებით რვა წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. თავისთავად, კიდევ არსებობს უამრავი დაავადება, რომელიც ოთხფეხა მეგობრების ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს. მაგ: დიროფილარიოზი (გულის ფილარია), ტოქსასკარიდოზი, ანკილოსტომოზი, დემოდეკოზი და სხვ.

ეს იმ დაავადებების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ იმ უსიამოვნებებში, რაც შეიძლება ჩვენმა ოთხფეხა მეგობრებმა მოგვიტანონ.

იმისათვის, რომ ავიცილოთ ზემოხსენებული დაავადებები, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოველები იყვნენ მხიარული, ჯანმრთელი და მათი კანის საფარველი (ბალანი) გამოიყურებოდეს „ელეგანტურად“, დროულად უნდა ჩავუტაროთ ლაბორატორიული გამოკვლევები.

ამ საკითხში თქვენ კვალიფიციურ დახმარებას აღმოგიჩენენ ს.ს.ი.პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ ვეტერინარი ექიმები.

ჩვენთან კონსულტაცია უფასოა.

თათარ მიჩინაშვილი,
ვეტერინარი ექიმი

მეფრინველეობა

ლონდონის ბაზარი და ... ქართული კვირსხი

მართალია მეფრინველეობის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან იწყება, მაგრამ საქმეს ისე კარგად შედგომიან ქართველები, რომ მაღე საქმესაპროტოლაც გაუტანიათ ჩვენი კვირსხი. ცნობილი ფაქტია, რომ მართო ქუთაისის გუბარნიდან ბათუმისა და ფოთის გავლით ამავე პერიოდში 108 მლნ კვირსხი ევროპის ისეთ დიდ ქალაქებში შეუტანიათ, როგორცაა პარიზი, ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, ხოლო 1989-99 წლებში ქართული კვირსხი თურმე ლონდონის ბაზარზე ხარისხით მეორე ადგილს ინარჩუნებდა.



მოგეხსენებათ, ადამიანის კვებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოველური ცილაა. სამწუხაროდ, ცილის დეფიციტი მსოფლიო მასშტაბით 50 პროცენტს შეიცავს. მეცნიერული განგარიშებით დადგენილია, რომ ამჟამად მსოფლიოში 70 მლნ.ტ. ცხოველური ცილა ინარჩუნდება. წლიურად საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 10 კგ, დღეში კი 70 გრამია გათვალისწინებული. ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე სტატისტიკური მონაცემებით 7,3 გრამი ცხოველური ცილა მოდის. დადგენილია, რომ ყველაზე მეტ ცხოველურ ცილას ერთ ჰექტარ ნათესზე ინდაურის ხორცის წარმოება უზრუნველყოფს, შემდეგ მოდის კვერცხი და ბროილერები. მართალია ლონდონის მოსახლეობის დაკმაყოფილებას კვერცხითა და ხორციტ ჩვენ არავინ გვთხოვს, მაგრამ ყოველივე ეს ხომ უკვე იყო? დღეს ჩვენს მოსახლეობას აქვს საკმარისი კვერცხი, ქათმის ხორცი?

ამ საკითხებზე სასაუბროდ მეფრინველეობის დარგის გამოჩენილ სპეციალისტს, პროფესორ როზა ნოზაძეს ვესაუბრე:

ქალბატონი როზას განმარტებით, დღეისათვის საქართველოში მეკვერცხული მიმართულების მსხვილი სანარმოები მუშაობენ საგარეჯოში, პატარძელში, ალგეთში და სხვაგან, რომელთა საერთო სიმძლავრე 2მლნ-ამდე კვერცხმდებელია, კვერცხის წარმოება კი წლიურად 500 მილიონი და უფრო მეტია. აქედან გამომდინარე სპეციალისტები მივიჩნევთ, რომ სასურსათო კვერცხის იმპორტი დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში საჭირო აღარ არის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი იმპორტიორი არად აგდებს ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს და

მაინც შემოაქვს უცხოური იაფფასიანი პროდუქტი. საკითხი ნათელია: იმპორტული კვერცხი ჩვენი პროდუქციის რეალიზაციას აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ შემოტანილი კვერცხი არ მონმდება სიახლის ნიშნით (წესითა და კანონით დადებიდან 6 დღეში უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია, მაგრამ იმპორტულ კვერცხს დადების თარიღი არ აღენიშნება), მის ხარისხზე ჩვენს სასურსათო ბაზარზე მსჯელობა შეუძლებელია, მაგრამ რადგან დაბალფასიანია, ვიდრე ჩვენი პროდუქტი, ხალხი მაინც ეტანება და შესაბამისად უნდა ითქვას, რომ სალდება-ამბობს ქალბატონი როზა და განაგრძობს საუბარს.

ქართველი მენარმეებიც დიდი სიამოვნებით შეამცირებდნენ ფასს, სახელმწიფოსაგან სათანადო ხელშეწყობა რომ იყოს.

– და სახელდობრ, რაში გამოიხატება ეს ხელშეწყობა? რა უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით ქვეყანამ?

– მაგალითად, ქვეყანაში დღემდე არ გვაქვს მეკვერცხული მიმართულების სანაშენე რეპროდუქტორი, რის გამოც ყველა მეფრინველეობის მეკვერცხულ სანარმოს თურქეთიდან შემოჰყავს ერთდღიანი ჰიბრიდული წინილები, რაც თავის-

თავად აძვირებს პროდუქციის ფასს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად საჭიროა სახელმწიფომ ლიბერალური გადასახადებით დააინტერესოს ინვესტორი, რათა მან თავისი ფული სწორედ მეკვერცხულ სანაშენე რეპროდუქტორში ჩადოს. გარდა ამისა, პროდუქციის აძვირებს აგრეთვე მაღალი საბაჟო გადასახადები. მენარმე თანამედროვე ტექნოლოგიაზე რომ გადავიდეს, აუცილებლად უცხოეთიდან უნდა შემოიტანოს მოწყობლობა-დანადგარები, მაღალი გადასახადები კი ამ პროცესს თავისთავად აფარხებს.

ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას და გთხოვთ ხაზგასმით დაწეროთ: სოფლის მეურნეობის პროდუქცია კანონის თანახმად გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულებისა და მოგების გადასახადების გადახდისაგან, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია, რომ აქაც გამოწვევის მეფრინველეობის დარგია. ესე იგი რა გამოდის? ყველა, გარდა მეფრინველეობისა. ვსვამთ კითხვას – რატომ? ნუთუ კანონმდებლებს მიაჩნიათ, რომ მეფრინველეობა სოფლის მეურნეობის დარგი არ არის? თამამად ვამბობთ: – იგი მნიშვნელობით არც ერთ სხვა დარგს არ ჩამოუვარდება (რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ სოფლის მეურნეობას, ვფიქრობთ, ეს რეგულაცია მეფრინველეობის დარგს აუცილებლად უნდა შეეხოს.

ზემოთჩამოთვლილი მიზეზები, რა თქმა უნდა, პროდუქციის გაძვირებას იწვევს. ამიტომაც არის, რომ ადგილობრივი და უკეთესი პროდუქცია შედარებით მაღალი ფასის გამო დაბალხარისხიან, იავ პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევს.

– ქალბატონო როზა რა მდგომარეობა გვაქვს მეხორცულ მეფრინველეობაში?

– შედარებით უკეთესი. გამომჩნდა ინვესტორი, რომელმაც ფული სწორედ სანაშენე რეპროდუქტორში დააბანდა. ეს სანარმოა „ჩირინა“. მისი დამფუძნებელია რეზო ვაშაქიძე და მდებარეობს სოფელ მარტყოფში. აღნიშნული რეპროდუქტორი წელიწადში 10 მლნ საინკუბაციო კვერცხს აწარმოებს. აქვეა 4 მლნ სიმძლავრის ბროილერული ფაბრიკა („ბიუ-ბიუ“). გარდა ამისა გვაქვს კიდევ ორი მეხორცული რეპროდუქტორი: „ნესტე“- დამფუძნებელი ლევან ცხადაძე (კასპის რაიონი) და „საბუდარა“ – დამფუძნებელი თამაზ ნიქარიშვილი (გარდაბნის რაიონი). თითოეულის სიმძლავრე 25-25 ათასი კვერცხმდებელია. როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეამცირა უცხოეთიდან საინკუბაციო კვერცხის იმპორტი.

საქართველოში გვაქვს ერთადერთი სერთიფიცირებული ბროილერული სანარმო „განთიადი“. მისი დამფუძნებელია წარმატებული მენარმე ელგუჯა ნოზაძე (მცხეთის რაიონი), რომელიც მაღალი ხარისხის დაკლულ ფრინველს აწარმოებს და გააქვს ჩვენს ბაზარზე. ამ სანარმოს პროდუქციაზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილებაა.

მაგრამ ქვეყანას, ჩვენს მოსახლეობას ესაჭიროება 35 მლნ ფრთა ბროილერი (64 ათასი ტონა ხორცი), ფაქტობრივად კი გვაქვს 10-12 მლნ ფრთა, რაც ბაზრის მოთხოვნილებას, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს. მენარმეებს იმედი აქვთ, რომ თუკი ექნებათ ეს ხელშეწყობა, უმოკლეს ვადაში შეძლებენ საკუთარი ბაზრის ათვისებას და საქმეც კარგად წავა.

– ქალბატონო როზა, ბროილერების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არსებობს. ბოლო დროს სოციალურ ქსელში და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაში გაჩნდა მოსაზრება, თითქოსდა ბროილერები მართალია თანამედროვე ტიპის სანარმოებში იზრდებიან, მაგრამ ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში არიანო: თქვენ რას იტყვიან?

– დიახ, ჩემთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია ასეთი ინფორმაციები. უნდა გითხრათ, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო შორს მოდის და აცხადებს, რომ თითქოს ფრინველს წყალს არ აძლევენ და ქალის ჰორმონებით კვებავენ. ამას იმით ხსნიან, რომ თითქოს ასეთი ბროილერები 10 დღეში 2კგ-ს იწონიან. ეს განაცხადი მტკნარი სიცრუეა და არა მარტო არაკომპე-

ტენტური აზრია, არამედ საერთოდ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ეს რომ უცხოელმა სპეციალისტმა წაიკითხოს, დაგვცინებს, ეს ხალხი ადრეულ საუკუნეებში ჩარჩინილები არიანო, იტყვის. მინდა დავამშვიდო ჩვენი მომხმარებელი: ბროილერის გამოზრდა მთელ მსოფლიოში ერთნაირი ტექნოლოგიით და ერთნაირი ჯიშით წარმოებს და დასაკლავ წონას – 2კგ-ს 10 დღეში კი არა, 35 დღის (უფრო ხშირად მეტიც ჭირდება) გასვლის შემდეგ აღწევს. ეს კი მიღწეულია ხანგრძლივი სელექციის გზით. მარტივად რომ ვთქვათ, ქათმის 100 ჯიშიდან გამოარჩიეს ორი მეხორცული ჯიში მაღალი ცოცხალი წონის მახასიათებლებით, ერთმანეთს შეუჯვარეს და მიიღეს ბროილერები, შეუქმნეს მათ კვებისა და მოვლის საუკეთესო პირობები, იზრდებიან დახურული ტიპის საფრინველეებში, სადაც დაცულია ოპტიმალური მიკროკლიმატი. საკვები მზადდება სიმინდის, სოიოსა და ცილოვან-ვიტამინოვანი ნარევისაგან ყოველგვარი ანტიბიოტიკებისა და ჰორმონების გარეშე.

რა თქმა უნდა, ჩვენთან გამოზრდილი ბროილერები თავისი ხარისხით იმპორტულზე უკეთესია, რადგან ძირითადად ადგილობრივ სიმინდზე იზრდებიან და ადვილია მათი გაკონტროლება სიახლეზეც. ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა გაგრილებულ, ახალ ბროილერებზე, რომელსაც ჩვენი მენარმეები აწარმოებენ. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მალე ავითვისოთ ჩვენი ბაზარი. ამასთან, მინდა გამოვთქვა ასეთი შენიშვნა: ვიდრე არასწორ ინფორმაციებს მიანვდიან მოსახლეობას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები, წინასწარ შეათანხმონ პროფესიონალებთან და შეცდომაში ნუ შეჰყავთ გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელი.

სოფელში გაზრდილი, ადგილობრივი ქათმის წინილები, რა თქმა უნდა, უკეთესია, მაგრამ მათი ცოცხალი წონა დაბალია და დიდი მეფრინველეობის სანარმოების დატვირთვა ადგილობრივი ფრინველით შეუძლებელია. იგი მინიმალურადაც ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას კვერცხზე და ქათმის ხორცზე. თანამედროვე მეკვერცხული ჰიბრიდები წელიწადში დაახლოებით 360-მდე ცალ კვერცხს იძლევიან, ადგილობრივი ქათმები კი – 120-130 ცალამდე. ასევეა წინილის წონაც – დაკვლისთვის საჭირო 2 კგ-ს 1 წლის ასაკში აღწევენ მხოლოდ. ადგილობრივი ფრინველი შეიძლება ბიომეურნეობაში მოვაშენოთ. ასეთი სანარმოები მრავლადაა უცხოეთში, მაგრამ მათი საბაზრო ფასი 2-3 ჯერ მეტია.

ბოლოს ქალბატონმა როზამ თქვა: ამჟამად აგრარულ უნივერსიტეტში მუშავდება სამეცნიერო თემა, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ფრინველის მეხორცული პროდუქტიულობის გაზრდას (თემაში ჩართულია ქალბატონი როზა, როგორც იდეისა და თემის ინიციატორი, ხელმძღვანელი კი არის მისი აღზრდილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერება-





თა დოქტორი კობა ნაცვალაძე). პროგრამის მიხედვით ადგილობრივ მეგრულა და ყელტიტველა ქათმებს ვუჯვარებთ შემოყვანილ მაღალპროდუქტიულ ინგლისურ ჯიშს. ნაჯვარი წინილები ადვილად გამოიზრდებიან გლეხურ მეურნეობებში, ეზოს პირობებში, ამასთან ხასიათდებიან ადგილობრივთან შედარებით უკეთესი ცოცხალი წონით.

აღნიშნული პროგრამა დააფინანსა რუსთაველის ფონდმა და მუშაობა წარმოებს სამტრედიის მეფრინველეობის საწარმო „ვერძი“, რომლის დამფუძნებელი რეზო ნიკოლეიშვილია.

ამჟამად მსოფლიო მასშტაბით ბროილერული მეფრინველეობის ერთ-ერთი პრობლემაა ბროილერების ზედმეტი გადასუქება, ამიტომაც მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა ხორცში ცხიმის შესამცირებლად და ცილის მოსამატებლად.

ქვეყანაში შექმნილმა დადებითმა პოლიტიკურმა სიტუაციამ გზა გაუხსნა ინვესტიციებს მეფრინველეობის დარგშიც. ამოქმედდა და გაფართოვდა არაერთი ქარხანა, მცირე საწარმო. გაიზარდა იქ დასაქმებულთა კატეგორიაც. სწორედ ამის გამოც შეძლეს მეფრინველეებმა შეეზღუდათ უცხოეთიდან კვერცხის იმპორტი. ამ მხრივ მათ უკვე დაიკავეს საკუთარი ბაზრის უდიდესი სეგმენტი, თუმცა ჯერჯერობით მაინც პრობლემად რჩება ადგილობრივი ქათმის ხორციით მისახლეობის დაკმაყოფილება.

მენარმეებმა დღეს იწამეს, რომ ასეთ პირობებში მათ უკანონოდ ვერავენ დაჩაგრავს, ვერავენ წაართმევს ქონებას. მათ შესაძლებლობა მიეცათ ნაცნობობისა თუ „ჩანყობის“ გარეშე ბანკებიდან აიღონ დაბალპროცენტიანი სესხები, რაც, ბუნებრივია, დადებითად აისახება მეფრინველეობის დარგის კიდევ უფრო უკეთ განვითარებაზე.

ნაზი იმნაიშვილი

საკვებწარმოება

ვაბრძელებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრებთან აკადემიის მიერ მომზადებული „საკვები კულტურების აბროწესების“ გაშლას.

საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აბროწესები

გაგრძელება, დასაწყისი 2014 № 7-9, 12; 2015 № 1

ნაწილი VI

ნათესის მოვლა და მოსავლის აღება

ბარდა, ხანდური, ცულისპირა, საშემოდგომო და საგაზაფხულო ცერცველა და ხანჭკოლა


ნათესის თესვის შემდგომი და სავეგეტაციო მორწყვა უნდა ჩატარდეს საჭიროების მიხედვით, დასარეგულირების შემთხვევაში ნათესები უნდა გაიმარგლოს სარეველა ბალახებისაგან;

ბარდის, ხანდურის, ცულისპირას, ცერცველას, ხანჭკოლას ნათესის საძოვრად გამოყენება უნდა დაიწყოს მათი დაკოვრების დაწყებისას და გაგრძელდეს სრულ ყვავილობამდე. მწვანე საკვებად აღებას უნდა შევუდგეთ ყვავილობის დაწყებისას და ეს სამუშაო დავამთავროთ სრული ყვავილობის ბოლოს. თივად უნდა ავიღოთ იმ

პერიოდში, როდესაც მცენარეები პარკების გაკეთებას დაიწყებენ, ხოლო სასილოსედ კი მასობრივი დაპარკების დროს. პარკოსნების თესლი არათანაბრად შემოდის, ღეროს ქვედა ნაწილში პარკები უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე ზედა ნაწილში. ბარდას, ცულისპირას, ხანდურის, ხანჭკოლას და ცერცველას თესლის აღება უნდა დავიწყოთ მაშინ, როდესაც პარკების 60-75% მომწიფდება. ყველა პარკის მომწიფებამდე მოცდა დაუშვებელია, რადგან ეს ინვესტ ქვედა იარუსზე ადრე მომწიფებული პარკების სკდომას და მარცვლის ცვენას. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, მშრალ და ცხელ ამინდში უმჯობესია თესლი ავილოთ დილისა და საღამოს საათებში, ხოლო გრილ ამინდში მისი აღება მთელი დღის განმავლობაში უნდა ვანარმოთ

პარკოსანი კულტურების ასაღებად გამოიყენება ტრაქტორზე საკიდი სპეციალური სამკელი მანქანები „ЖПУ-3,2“ და „ЖБА-3,5“. მოსავლის აღება წარმოებს აგრეთვე სხვადასხვა მარ-

კის სათიბელებით და ზოგჯერ-კომბაინითაც. სამარცვლედ მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს ორ ფაზად (გაყოფის წესით): ჯერ გათიბავენ და დაალაგებენ ღვარეულებად უწყვეტ ზოლებად; შემდეგ, როდესაც ღვარეულები სათანადოდ გაშრება, ახდენენ მის გალენვას კომბაინით. კომბაინზე დამაგრებულია ამკრეფი მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად აწვდის მასას კომბაინის




საღენ აპარატს და სასებარაციო სამუშაო ორგანოებს. მარცვლის გამოღენვა შეიძლება აგრეთვე სტაციონარულ საღენ მანქანებზე. კომბაინით და სხვა მარკის საღენი მანქანებით ვალენვის დროს მარცვლის დამტვერვის თავიდან აცილების მიზნით მიზანშენწონილია შემცირდეს საღენი დოლის ბრუნვათა რიცხვი და სათანადოდ გაიზარდოს ღრეჩო დოლსა და დეკას შორის;

მიღებული მარცვლის მოსავალი უნდა გაინმინდოს სანმენდ და სანიავებელ მანქანებზე ხელით ყოველგვარი მინარევეებისაგან და დაყვანილი იქნეს ნორმალურ (14-15%) ტენიანობამდე. უკეთესი ფრაქციიდან უნდა გამოვიყოს სათესლე ფონდი, რომელიც შეინახება მშრალ და გრილ სანყოში სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ.

სოია და ცერცვი

სათივედ, სასილოსედ და მწვანე საკვებად აღნიშნული კულტურები შეიძლება დაითესოს სუფთა ნარევებში სიმინდთან და სორგოსთან. ვაკე ადგილზე უმჯობესია ბუნდში თესვა, ფერდობებსა და მცირე ფართობების ნაკვეთებზე-მწკრივად თესვა. ნარევებში სოია და ცერცვი ითესება თავისივე კომპონენტთან ერთად იმავე დროს. სათივედ სოია და ცერცვი უმჯობესია დაითესოს სუფთა სახით;

სოიას და ცერცვის აღმოცენებამდე ნიადაგის მდგომარეობის გათვალის-



წინებით საჭიროა ნიადაგის 1-2-ჯერ დაფარცხვა ნათესის დიაგონალური მიმართულებით. დაფარცხვა უნდა დავინყოთ დათესვიდან 5-6 დღის შემდეგ, როდესაც სარეველების ღივი ნიადაგში თეთრი ძაფების სახითაა, ხოლო სოიას და ცერცვის თესლი გაღივებულია;


სოიას და ცერცვის სუფთა ნათესებში უნდა ჩატარდეს კულტივაცია, სამარცვლე ნათესში კი ერთი თოხნა გამეჩხერებით და 1-2-ჯერ კულტივაცია. სარწყავ პირობებში სამარცვლედ და საკვებად ნათესი სოია და ცერცვი უნდა მოიწყოს ერთხელ ან ორჯერ, სათესლე და სანაწვერალო ნათესი კი საჭიროების მიხედვით;

მწვანე საკვებად და სათივედ სოიას და ცერცვის მოსავალი აიღება ყვავი-

ლობის პერიოდში, სასილოსედ-სოიას მარცვლის დასრულებისას, ხოლო ცერცვი – პარკების ქვედა 2-3 იარუსის მომწიფებისას. სასილოსედ სიმინდთან, სორგოსთან და სუდანურასთან ნარევებში დათესილი სოია აიღება ცვილისებრი სიმინფის დასაწყისში. მარცვლად აიღება, როდესაც სოიას ქვედა იარუსზე ყველა პარკი მთლიანად მომწიფდება, ცერცველას კი, როდესაც პარკები 10% გამუქდება. მოსავლის აღება შესაძლებელია სამკელი და სათიბი მანქანებით. სამარცვლედ სოიას და ცერცვის აღება უმჯობესია ორ ფაზად.

ერთწლოვანი კონდარი

ერთწლოვანი კონდარი უნდა დაითესოს ხორბლის სათესი მანქანით ჩვეულებრივად მწკრივში მწკრივთაშორისე-



ბის მანძილით 7,5-15 სმ ან ხელით. თესვის შემდეგ ნიადაგი უნდა დაიტკეპნოს, განსაკუთრებით მშრალ ადგილებში.

სარწყავ პირობებში ტარდება 1-2-ჯერადი რწყვა. მწვანე საკვებად და საძოვრად კონდარი დათავთავების დასაწყისში, აქვიტის (წამონაზარდის) მისაღებად, გათიბვისთანავე უნდა დაიფარცხოს და თუ სარწყავია, მაშინვე მოიწყოს;

კონდარი თივად უნდა ავილოთ ყვავილობის პერიოდში, ხოლო სათესლედ იგივე ფაზაში და იგივე წესით, როგორც მრავალსათიბ კონდარზე გვექონდა აღნიშნული.

სიმინდი და სორგო

სიმინდის და სორგოს ნათესებში 4-5 ფოთლის ფაზაში უნდა ჩატარდეს მწკრივებისა და ბუნდების გათოხნა გამეჩხერებით და მწკრივთაშორისების პირველი კულტივაცია 8-10 სმ სიღრმეზე. პირველი კულტივაციიდან ერთი კვირის შემდეგ უნდა ჩატარდეს მეორე კულტივაცია 6-8 სმ სიღრმეზე, საჭიროების მიხედვით ტარდება მესამე კულტივაცია;

სიმინდის და სორგოს ნათესები სარწყავებში ამინდის პირობების მიხედვით უნდა მოიწყას დათესვისთანავე, ხოლო ვეგეტაციის პერიოდში 3-4-ჯერ რწყვა და დამატებითი გამოკვება უნდა უკავშირდებოდეს თოხნა-კულტი-



ვაციას. ნიადაგის ქერქის გაჩენის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ნიადაგის გაფხვიერება როტაციული ან მსუბუქი ფარცხით, მწკრივების გარდიგარდმო მიმართულებით;

სიმინდი და სორგო სასილოსედ აიღება მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, სამარცვლედ-სრული სიმწიფის დადგომისთანავე. მწვანე საკვებად სორგო უნდა ავილოთ საგველას გამოტანამდე 8-10 დღით ადრე, ხოლო სათივედ მოსავალი აღებული უნდა იქნეს საგველას გამოტანის დასაწყისში. სორგოს ნათესებზე პირუტყვის ძოვება მიზანშენწონილია პირველი მოსავლის აღების შემდეგ აქვიტზე, დილისა და საღამოს საათებში, ხოლო გათიბული მასა მწვანე საკვებად გამოიყენება შეჭკნობის შემდეგ;

სასილოსედ მოსავალი აღებული უნდა იქნეს სიმინდის სილოსის ამღები კომბაინით და სათიბ-სამკალი მანქანებით. სასილოსედ სიმინდს ჭრიან ნიადაგიდან 5-7 სმ სიმაღლეზე, ხოლო სორგოს 8-10 სმ სიმაღლეზე, რაც შემდეგ "აქვიტის" მიღების საშუალებას იძლევა;

სორგოს მარცვლის მოსავლის აღება აუცილებელია მისი სრული დამწიფების შემდეგ, ე.ი. როდესაც მარცვალი გამშრალი და გამაგრებულია. მარცვლის მოსავალი შეიძლება ავილოთ ხელით. ასეთ შემთხვევაში ჯერ მოიჭრება საგველები, შეიკვრება კონებად და გაიზიდება ნაკვეთიდან, შემდეგ კი დარჩენილი ღეროები გაითიბება სათიბი მანქანით. საგველას კონები შეშრობის შემდეგ გამოიღენება საღენ მანქანაზე. გამოღენილი მარცვალი გატარდება სანიავებელ და დამხარისხებელ მანქანებში; შესაფერის ტენიანობამდე (14-15%) გაშრობის შემდეგ ინახება სანყოში სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ;

თივად და მწვანე საკვებად სუფთა სორგოს და პარკონებთან მისი ნარევების მოსავალი აიღება სათიბელებით და ცელით-სათივედ. აღებული მასა უნდა გაშრეს მინდორში და შემდეგ დაიზინოს, მწვანე მასა კი შეჭკნობის შემდეგ პირუტყვის საკვებად გამოიყენება.

სუდანურა

სუდანურას ნათესების მოვლის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ნიადაგის ქერქთან ბრძოლა, რომლის დასაშლელად იხმარება როტაციული ფარცხი, ნიბოებიანი და კბილებიანი სატკეპნი ან მსუბუქი ფარცხი. ნათესებში სარეველების გაჩენის შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს ქიმიური მარგვლა 2,4D ჯგუფის ჰერბიციდებით ან მათი გამოთიბვა დაყვავილებამდე, ფართო მწკრივთშორისებიან ნათესებში კი საჭიროა ერთი თოხნა ან ორი კულტივაცია. სარწყავებში საჭიროებისამებრ უნდა ჩატარდეს რწყვა; სანაწერალო ნათესები თესვის შემდგომი რწყვის გარდა, მოსავლის აღებამდე ერთ-ორჯერ უნდა მოირწყოს;

სუდანურას ნათესის თივად აღება უნდა მოხდეს სარგველას ამოღების დასაწყისში. მწვანე საკვებად და საძოვრად გამოყენება წარმოებს დამუხლების ფაზაში, ხოლო სასილოსედ-მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმნიფეში. აქვიტის უკეთესად განვითარების უზრუნველსაყოფად სუდანურას თიბვა საჭიროა ჩატარდეს ნიადაგის ზედაპირიდან 8-10 სმ სიმაღლეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წამო-



ნაზარდის განვითარება შეფერხდება და მომდევნო გათიბვის მოსავალიც შემცირდება;

სუდანურა სათესლედ აიღება მაშინ, როდესაც მთავარი ღეროების უმეტეს საგველაზე თესლი მომწიფდება. ამ დროს საგველა ჩალისფერ-მოყვითალო ფერს იღებს და რამდენადმე დახრილია;


თივად და მწვანე საკვებად მოსავლის აღება წარმოებს სათიბელებით ან ცელით. სასილოსედ მოსავალი აიღება სიმინდის სილოსის ამლები ან სათიბი მანქანით;

სუდანურას სათესლე ნაკვეთებიდან თესლის აღება წარმოებს კომბაინებით, სამკალი და სათიბი მანქანებით. კომბაინით აღების დროს მჭრელი აპარატი

დაყენებული უნდა იქნეს მაღალ ჭრაზე, დარჩენილი ნაძვი ცალკე უნდა გაითიბოს საკვებად ან სასილოსედ ან კარგად გაშრობის შემდეგ – სათივედ.

საშემოდგომო და საგაზაფხულო ქერი, ჭვავი და შვრია

ყველა ჩამოთვლილი კულტურა საკვებად გამოყენების მიზნით ითესება



სუფთად და ნარევეში სამარცვლე პარკოსნებთან ერთად.

საშემოდგომო და საგაზაფხულო ქერის, ჭვავის და შვრიის ნათესების მოვლა უნდა წარმოებდეს ისე, როგორც გათვალისწინებულია მარცვლეული კულტურების აგრონესებში.

ჩამოთვლილი კულტურები, გარდა მარცვლისა, იძლევიან თივას, ნაძვას, მწვანე და სასილოსე მასას და კარგ საძოვარს. თესვის ვადებთან დაკავშირებით საძოვრად მათი გამოყენება შეიძლება გვიან შემოდგომით, ზამთრის პირას და ადრე გაზაფხულზე დამუხლების ფაზამდე; მწვანე მასად უნდა გამოიყენოს აღერების დამთავრებისას, სათივედ – დათავთავებისას, ხოლო სასილოსედ – მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმნიფის ფაზაში.

რაფსი

რაფსი კარგი საძოვარი და მწვანე საკვებად გამოსაყენებელი კულტურაა. დაბლობი ზონის სარწყავ პირობებში მისი თესვა-მოყვანა წარმოებს შუალედური კულტურის სახით. თესვის საუკეთესი ვადა 20-30 აგვისტოა. ამ დროს



დათესილი რაფსი ორ გათიბვას იძლევა: პირველს – ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში, ხოლო მეორეს – ადრე გაზაფხულზე.

მთიან ზონაში მისი თესვა შეიძლება მოეწყოს ძირითად კულტურად იმ ანგარიშით, რომ პირუტყვს ჰქონდეს გვიან შემოდგომაზე მწვანე საკვები;

რაფსი წვრილთესლიანია, ამიტომ მისთვის უნდა შეირჩეს ნოყიერი, კარგად მოსწორებული და გაფხვიერებული ნიადაგი. მაღალი მოსავლის მიხედვად ხვნის წინ უნდა შევიტანოთ ფოსფორი 90-100 კგ/ჰა-ზე, კალიუმი-60-70 კგ/ჰა-ზე, ხოლო თესვისწინა დამუშავების დროს აზოტი – 80-90 კგ/ჰა-ზე (სუფთა საკვებად ნივთიერებაზე გადაანგარიშებით). თესვის წინ და დათესვის შემდეგ ნათესი საგორავებით უნდა მოიტკეპოს. სარწყავ პირობებში პირველი მორწყვა უნდა ჩავატაროთ დათესვისთანავე, ხოლო სავეგეტაციო მორწყვები საჭიროების მიხედვით;

რაფსის მარცვლის მოსავლის აღება წარმოებს ორი წესით: პირდაპირი კომბაინირებით და ორ ფაზად. პირდაპირი კომბაინირებით მოსავალი უნდა ავილოთ მაშინ, როცა ქვედა იარუსის პარკებში თესლი მომწიფდება, ხოლო ორ ფაზად-შედარებით ადრე, მარცვლის რძისებრ-ცვილისებრი სიმნიფის ფაზაში.

შუალედური კულტურები

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა შუალედური კულტურების თესვა-მოყვანის გაფართოება, რაც გულისხმობს მინის ინტენსიურად გამოყენების გზით ერთი და იგივე ფართობზე წელიწადში ორი-სამი მოსავლის მიღებას ძირითადად მწვანე და წვნიანი საკვების სახით. საქართველოს ზონებისა და თესვის ვადების გათვალისწინებით წარმოებაში დასაწერად რეკომენდაციას ვაძლევთ შუალედური კულტურების ხუთ ჯგუფს:

ა) საგაზაფხულო, როცა ადრე გაზაფხულზე (თებერვლის ბოლო, მარტის დასაწყისი) ძირითადი კულტურების (სასილოსე სიმინდი, სუდანურა, სორგო) ან რომელიმე საგვიანო ბოსტნეულის დათესვამდე ან დარგვამდე მინა გამოყენებულია შვრიანარევი ან საგაზაფხულო ქერნარევი ერთნლოვანი პარკოსანი ბალახების (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა) მწვანე მასის მისაღებად. აღნიშნული შუალედური კულტურები ძირითადად გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავი მინათმოქმედების პირობებში;



ბ) საგაზაფხულო სანანვერალო, როცა საშემოდგომო თავთავიანების ნანვერალზე ან საადრეო ბოსტნეულის და სხვა კულტურების ალების შემდეგ ითესება ისეთი კულტურები, როგორიცაა: სიმინდი, სოია, სუდანურა, სორგო, მზესუმზირა, შვრიანარევი პარკოსანი ბალახები და სხვა მწვანე მასის მისაღებად შემოდგომაზე გამოყენებისათვის; დასახელებული შუალედური კულტურის თესვა-მოყვანა შეიძლება საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში;

გ) საშემოდგომო, როცა აღმოსავლეთ საქართველოში სასილოსე სიმინდისა და ადრეული ბოსტნეული კულტურების ალების შემდეგ ითესება საკვები კულტურა იმავე წელს გამოყენების მიზნით. ან დასავლეთ საქართველოში ოქტომბერში ითესება შვრიანარევი ერთწლოვანი პარკოსნები და მისი ნარევეები, რომლებიც ფართობს ათავისუფლებენ მაისის შუა რიცხვებამდე და რომელთა ალების შემდეგ მოიყვანება ყვლა ძირითადი კულტურა მარცვლი-სა ან მწვანე მასის მისაღებად;

დ) საშემოდგომო-საზამთრო, როცა აგვისტოში რომელიმე საშემოდგომო ან საგაზაფხულო კულტურის ალების შემდეგ ითესება ტურნეფსი და რაფსი წვნიან და მწვანე საკვებად გვიან შემოდგომაზე, ზამთარში და ადრე გაზაფხულზე გამოყენებისათვის. დასახელებული კულტურის თესვა-მოყვანა შეიძლება ქვეყნის დაბლობი ზონის სარწყავ პირობებში და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ რეგიონებში;

ე) შეთესილი შუალედური, როცა მრავალწლოვანი პარკოსნები (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი) გაზაფხულზე ითესებიან, ძალიან წელა იზრდებიან და იმ წელს დასათიბ მასას თითქმის არ იძლევიან, ამიტომ ასეთ ნათესებში ტარდება შვრიის ან სუდანურას შეთესვა გარდ-გარდმო, დამატებითი მოსავლის მისაღებად.

აღნიშნული შუალედური კულტურების თესვა-მოყვანის ღონისძიებები

(თესვის ნორმა, თესვის წესი, განოცი-ერება, ნათესების მოვლა და სხვა) ისეთივეა, როგორც ამ კულტურების აგროტექნიკის განხილვის დროს ზემოთ გვექონდა მოტანილი.

მწვანე კონვეიერი

მეცხოველეობის პროდუქტიულობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი პირუტყვი წლის ყველა პერიოდში მწვანე და წვნიანი საკვებით. ამის მიღწევა კი საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში თავისუფლად შეიძლება, თუ მსხვილ ფერმერულ მეურნეობასთან ან გაერთიანებებთან მოეწყობა მწვანე კონვეიერი.

საქართველოს მინათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით მწვანე კონვეიერების მოწყობისას რეკომენდაცია ეძლევა კულტურათა შემდეგ მორიგეობას:

ა) პირველი მოსავლის მისაღებად აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში, ადრე გაზაფხულზე (თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში) და დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში, წინა წლის შემოდგომით (ოქტომბერი) დაითესება შვრიანარევი ან ჭვავნარევი ერთწლოვანი პარკოსნები (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა). აღმოსავლეთ საქართველოში მეორე მოსავლის მისაღებად განთავისუფლებულ მიწებზე დაითესება სოიანარევი სიმინდი, ნაწილზე – სუდანურა მწვანე საკვებად, ნაწილზე მზესუმზირა-სასილოსედ, ნაწილზე შაქრის ჭარხალი-წვნიან საკვებად, მესამე მოსავლის მისაღებად – შვრიანარევი ბარდა ან შვრიანარევი ცერცველა, დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში – შემოდგომაზე ნათესი ერთწლოვანი საკვები ბალახები-საგან განთავისუფლებული ფართობი (მაისი). მეორე მოსავლის მისაღებად

დაითესება სუდანურა-სიმინდი-სოიას რთულკომპონენტის ნარევი, რომლის ალების შემდეგ (აგვისტო) მესამე მოსავლის მისაღებად დაითესება ტურნეფსი და რაფსი. შემალელებულ ადგილებში (ზღვის დონიდან 500 მ-ზე ზევით), სადაც სამი მოსავლის მიღება ვერ ესწრება, შვრიანარევი ცერცველას ან შვრიანარევი ბარდის შემდეგ ნაბალახარი მინდორი გაიყოფა ორ ნაწილად. ერთ ნაწილზე დაითესება სუდანურა-სოია, სიმინდის ნარევი, მეორე ნაწილზე კი ტურნეფსი და რაფსი.

ბ) პირველი მოსავალი – სოიანარევი სიმინდის მწვანე საკვებად ან სასილოსედ. მეორე მოსავლისათვის ფართობის ნახევარზე დაითესება შვრიანარევი ცერცველა მწვანე საკვებად, ხოლო მეორე ნაწილზე ტურნეფსი და რაფსი წვნიან და მწვანე საკვებად. კონვეიერის ეს სქემა შეიძლება განხორციელდეს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში;

გ) გარდამავალი პერიოდის დროს ისეთ მონაკვეთში, როცა მიწვერად არა გვაქვს ერთწლოვანი საკვები კულტურების მწვანე მასა, მაშინ მისი დეფიციტი უნდა შეივსოს მრავალწლოვანი ბალახების – იონჯას, სამყურას, მრავალსათიბი კონიდარის და სათითურას მწვანე მასით, რომლებიც მწვანე კონვეიერის სქემის მიხედვით უნდა დაითესოს გამოყოფილ ფართობებზე;

მწვანე კონვეიერის მოსაწყობად უნდა შეირჩეს ფერმის ახლომდებარე სარეველებისაგან სუფთა, შედარებით ნაყოფიერი ნიადაგი, სადაც პირველი ვარიანტის შემთხვევაში შვრიანარევი ერთწლოვანი პარკოსნები დაითესება დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის პირობებში შემოდგომით (ოქტომბერი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილში თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში.





მამალი ფუტკრის რძე

ფუტკრის მატლის რძე ანუ მატლის ჰომოგენატი წარმოადგენს უპირატესეს ბიოლოგიურად აქტიურ პროდუქტს, რომელიც მიიღება მამალი ფუტკრის ჭურჭლის გამოპრისხვის (გამონუტვის) გზით.

გამონუტვის შედეგად მიიღება სპეციფიკური სუნის და ნაცრისფერი ან მოყვითალო ფერის ბლანტი სითხე. ზოგჯერ მას მამალი ფუტკრის რძესაც უწოდებენ.

მამალი ფუტკრის ჰომოგენატი ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი ცილების გარდა შეიცავს: ამინომჟავებს, ვიტამინებს, ფერმენტებს, მიკროელემენტებსა და ა.შ. ასევე დიდი რაოდენობით ვიტამინებს, მაგალითად – D ვიტამინის შემცველობით ჰომოგენატი თევზის ქონსაც კი აღემატება. B ვიტამინში კი ყველა ელემენტი – B¹-დან B¹²-ის ჩათვლით.

მამალი ფუტკრის მატლის რძეს ანუ ჰომოგენატს აქვს მძლავრი გამაჯანსაღებელი და გამაახალგაზრდავებელი მოქმედება. მისი მიღება აბსოლუტურად ყველას შეუძლია საკვები დანამატის სახით. დამზადებულია პრეპარატი „აპიმინ 3“-იც. სუფთა პროდუქტი ან ალნიშნული პრეპარატი შეიძლება მიიღოთ 1-ჯერ დღეში არაუმეტეს 2 გრამისა.

მისი მიღება რეკომენდებულია ჭამის შემდეგ, ენის ქვეშ მოთავსებით და ამ შემთხვევაშიც, ნახევარი საათის განმავლობაში, არ უნდა დალიოთ არანაირი სითხე. მამალი ფუტკრის ჰომოგენატი კარგად არის ცნობილი თავლის მწარმოებლებისთვის, თუმცა მის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაცია აქვთ ჩვეულებრივ ადამიანებს.

მამალი ფუტკრის ჰომოგენატის 50% შედგება იგივე კომპონენტებისგან, რისგანაც შედგება ფუტკრის რძე, ბუნებრივი ნივთიერებების დანარჩენ 50%-ს კი უნიკალური თვისებები გააჩნია, რაც მზა პროდუქტს განუმეორებელ ხარისხს ანიჭებს.

იგი წარმოადგენს მაღალხარისხოვან ცილას, შეიცავს 37 ამინომჟავას და 30 უჯერ ცხიმოვან მჟავას, რის გამოც ხელს უწყობს მაღალი ფიზიკური და გონებრივი აქტივობის აღდგენას და შენარჩუნებას გადაჭარბებული დატვირთვების დროსაც კი.

მამალი ფუტკრის ჰომოგენატი გააჯერებულია ფიტოჰორმონებით და A, D, E და B ჯგუფის ვიტამინებით.

მისი რეგულარული მიღება აფერხებს პროსტატიტისა და წინამდებარე ჯირკვლის ადენომის განვითარებას. პრე-

პარატი მკურნალობენ ლიპომას, მასტოპათიას, ფიბრომას.

პრეპარატი ხელს უწყობს სპერმის პროდუცირებას (სპერმატოგენეზი) მამაკაცებში და კვერხუჯრედების ფუნქციონირების აღდგენას ქალებში. ასევე გამოიყენება უშვილობის მკურნალობისთვის როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის.

ეს პროდუქტი აძლიერებს მეტაბოლიზმს, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას და ხელს უშლის ზოგიერთი ავთვისებიანი ახალწარმონაქმნის ზრდას, გააჩნია მაღალი კვებითი ღირებულება. მაგალითისთვის, D ვიტამინის არსებობა მასში 10-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე თევზის ქონში.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ და გონებრივ აქტივობასთან ერთად იგი ხელს უწყობს ლიბიდოს გაძლიერებას როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში, ორგანიზმში ისეთი ჰორმონების წარმოქმნის ხარჯზე, რომლებიც სექსუალურ აქტივობაზე არის პასუხისმგებელი.

ჰომოგენატი რეკომენდებულია დასუსტებული ადამიანებისთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. მათთვის ჰომოგენატს ურევენ თაფლში (პროპორციით 2:1) და აძლევენ 1-2 სუფრის კოვხს დღეში.

მამალი ფუტკრის ჰომოგენატს გააჩნია შემდეგი თვისებები:

- იწვევს ორგანიზმის მატონიზირებელ მოქმედებას;
 - აუმჯობესებს მადას, ძილის ნორმალიზაციას;
 - ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის რეგულაციას;
 - აღადგენს ნივთიერებათა ცვლისა და ქსოვილების კვების პროცესს;
 - ხელს უწყობს ორგანოების დარღვეული ფუნქციების ნორმალიზებას;
 - ხელს უწყობს არტერიული წნევის სტაბილიზაციას, არეგულირებს სისხლის მიმოქცევის დონეს;
 - ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს;
 - აუმჯობესებს ენდოკრინული სისტემის მოქმედებას;
 - ამაღლებს სექსუალურ აქტივობას, შრომისუნარიანობას;
 - ამაღლებს დიდი ფიზიკური და ემოციური დატვირთვების მიმართ ტოლერანტულობას;
- გააჩნია ანტიანთებითი და ჭრილობის შემხორცებელი თვისებები; შენახვის მიზნით, ხდება მიღებული ჰომოგენა-

ტის ადსორბირება (ადსორბცია). ფაიფურის ჯამში ათავსებენ ერთ ნაწილ ჰომოგენატს და უმატებენ ექვს ნაწილ ადსორბენტს (მასის მიხედვით). ადსორბენტად იყენებენ ლაქტოზისა და გლუკოზის ნაზავს (50/50%).

შემდეგ ამ ყველაფერს კარგად აურევენ (ამოლესავენ). ნედლ ადსორბირებულ ჰომოგენატს კარგად გაშრობამდე ინახავენ 3 თვის განმავლობაში 4-6 გრადუს ტემპერატურაზე.

უკვე მზა პროდუქტის შენახვა კი ხდება ჩვეულებრივ ოთახის ტემპერატურაზე 3 წლის განმავლობაში.

უფრო ეფექტური მოქმედებისთვის ხდება პრეპარატის მიღება ფუტკრის პურთან (ჭეო) ერთად, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის საერთო აღდგენის პროცესს.

მამალი ფუტკრის ჰომოგენატი წარმატებით გამოიყენება კომპლექსში ფიტოთერაპიასთან ერთად. სამკურნალო მცენარეებისა და მამალი ფუტკრის რძის ნაზავს იყენებენ თვალის დაავადების სამკურნალოდ, ბიოსტიმულაციისთვის და დიეტური კვებისთვის.

აპიზანი

აპიზანი ფუტკრის ქიტინოვანი შრის ნაყენია. იგი წარმოადგენს ფუტკრის ქიტინოვანი საფარისგან მიღებულ დაბალმოლეკულურ ქიტოზანს.

აპიზანი ამცირებს სისხლში ცხიმის რაოდენობას, ღვიძლის დატვირთვას და დიაბეტის განვითარების რისკს. აგრეთვე:

ასტიმულირებს იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს ქსოვილების რეგენერაციას, ხსნის სპაზმებს, არეგულირებს კუჭის მუჯიანობას, ანადგურებს პათოგენურ მიკროორგანიზმებს და გამოჰყავს ორგანიზმიდან ტოქსინები და იონიზაციის პროდუქტები.

აპიზანი წარმოადგენს მძლავრ ანტიოქსიდანტს. იგი აღადგენს კუჭნაწლავის მიკროფლორას, შეუცვლელია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებების პროფილაქტიკისთვის, არეგულირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას, წონის კორექციას და ა.შ.

აპიზანის დადებითი თავისებურებაა ისიც, რომ იგი ორგანიზმიდან გამოდევნის მხოლოდ მავნე და არა ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებს. იგი აბსოლუტურად უვნებელია და ბიოლოგიურად შეთავსებადია ნებისმიერ საკვებ პროდუქტთან.



MASSEY FERGUSON



 **AGCO**
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
სსიპ  **გაქნიკა**
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ადვილად ხსნადი
ბრანულირებული ბორდოს ნარევი

ბლუ ბორდო

დამზადებულია საფრანგეთში



გამართლებული არჩევანი!



AgroVitae

თბილისი, წერეთლის გამზ. 142, მე-2 სართ., ოთ. №15

ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ: 597 170 772, 597 170 702, 597 170 706

ელ. ფოსტა: info@agrovitae.ge